F166 N 580
7/162

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 30 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

4 სექტემბერი
1934 წელი
№ 16 (70)

ტფილისი
მწერალთა სასახლე
მაჩაბლის ქუჩა № 13.
ტელეფონი № 1—65.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო

რედკოლეგია: რაჟ. მეტსამე, დ. დემეტრაძე, ა. დუდუჩავა, ნ. ზოგლეთელი, ს. თალაკვაძე, ნ. გიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ულენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმება ამხ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძე!

ჩვენ საბჭოთა კავშირის ლიტერატურის წარმომადგენელნი, შევიკრიბეთ დღეს ჩვენს პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

ჩვენი იარაღი — სიტყვაა. ეს იარაღი ჩვენ შეგვაქვს მუშათა კლასის ბრძოლის არსენალში. ჩვენ გვინდა შევქმნათ ხელოვნება, რომელიც აღზრდიდა სოციალიზმის მშენებლებს, სიმხნევეს და რწმენას ჩაუნერგავდა მილიონთა გულში, რომელიც იქნებოდა მათი სიხარული და გადააქცევდა მათ მთელი მსოფლიო კულტურის ნამდვილ მემკვიდრეებად.

ჩვენ ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ ჩვენი ხელოვნება შეიქნეს საიმედო და ბასრ იარაღად მუშათა კლასის ხელში. ჩვენთან და ჩვენს ზღუდეს იქით, ჩვენ ვიდგებით მთელი მსოფლიოს რევოლუციური ლიტერატურის საქმის სადარაჯოზე.

ჩვენს ისტორიულ დღეს ვიწყებთ იმით, რომ მოგესალმებით თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონისძევ, ჩვენს მასწავლებელსა და მეგობარს.

ჩვენ გვინდა თქვენ, ლენინის საუკეთესო მოწაფეს, მისი საქმის ერთგულ და ურყევ გამგრძელებელს, გითხრათ ყველა ის უგულითადესი სიტყვა, რომელიც კი მოიპოვება კავშირის ყველა ენაში. თქვენი სახელი შეიქნა სიმბოლოდ სიდიადისა, უბრალოებისა, ძლიერებისა და მუდმივობისა, რომლებიც გაერთიანებულია იმ ერთიანსა და მთლიანში, რაც ახასიათებს ბოლშევიკის ტიპსა და ხასიათს.

ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის ძევ, მიიღეთ ჩვენი სალამი, აღსავსე სიყვარულითა და პატივისცემით თქვენდამი, როგორც ბოლშევიკისადმი, ადამიანისადმი, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ვენიალური გამჭრიახობით მიჰყავს უკანასკნელ და საბოლოო გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს კლასს, რომელმაც თქვენ წარმოგშვათ და პარტიას, რომელმაც თქვენ აღგზარდათ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ!



შოთა რუსთაველის ძეგლი

საქართველოს ცეკას დადგენილება ქალაქ ტფილისში შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმის შესახებ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა.

ძეგლმა უნდა გამოხატოს შოთას პოემის შინაარსი, ძეგლმა უნდა გადასცეს მომავალ თაობას აგრეთვე ჩვენი ეპოქის, სოციალიზმის სიძლიერე. მსოფლიო მწერლის ძეგლს ხელს უნდა უწყობდეს ადგილმდებარეობა, ძეგლის გარემო უნდა ბადავდეს პოეტურ და მხატვრულ გრძნობებს, ძეგლის გარეგნობა — ჩუქურთმა, კომპოზიცია უნდა იძლეოდეს უმშვენიერეს ქანდაკების და ხუროთმოძღვრების იშვიათ ნიმუშებს.

სად უნდა დაიდგას ეს ძეგლი?

თავისთავად ცხადია რუსთაველის პროსპექტზე.

რომელი ადგილის გამოყენება შეიძლება ამ დანიშნულებისათვის?

ძეგლისათვის შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს ორი ადგილი:

პირველი, ყოფილი სამხედრო მუზეუმი, შემდეგ გადაკეთებული ნაციონალურ გალერეად.

მეორე — რუსთაველის ბოლოში არსებული ძველი მახინჯი ფოსტის შენობა, რომელიც უნდა მოიხსნას, და მის ადგილას აღიმართოს შოთას ძეგლი.

ქალაქის შინაარსიანი მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, ამ ადგილს უპირატესობა უნდა მიეცეს. მაშინ ქალაქის გადაგეგმარებით გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ ადგილზე რუსთაველის მოედნის მოწყობა, რუსთაველის პროსპექტის უშუალოდ ელბაქიძის დაღმართთან შეერთება, რასაც იშვიათი სილამაზე ექნება. მომავალში, როდესაც კომინტერნის ქუჩა გაფართოვდება და თავისუფლების მოედანს შეუერთდება, რუსთაველის პროსპექტი შემკული იქნება ორი უმშვენიერესი ძეგლით:

აღმოსავლეთის მხრით ლენინი, დასავლეთის მხრით შოთა.

ინჟენერი — **ბეჟანიშვილი.**

შოთა რუსთაველი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. 1937 წლის ოქტომბერს მთელს საქართველოში მოეწყოს საყოველთაო სახალხო ზეიმი შოთა რუსთაველის დაბადების 750 წ. თავის აღსანიშნავად. 750 წელიწადი შესრულდა, რაც დაიბადა უდიდესი პოეტი, მხატვრული სიტყვის გენიოსი ოსტატი შოთა რუსთაველი, რომლის უკვდავი ქმნილება „ვეფხვის ტყაოსანი" — მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები — ფეოდალ-ხუცესები საუკუნეთა განმავლობაში სდევნიდენ მას, და ცეცხლშიც კი ნთქავდენ, — ლახავს საუკუნეთა წყებას, ხდება ხალხის ნამდვილი კუთვნილება, უდიდეს გავლენას ახდენს მთელს შემდგომ ლიტერატურაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც.

2. ტფილისში აღიმართოს შოთა რუსთაველის ძეგლი.

3. საიუბილეო ზეიმის ყველა მოსამზადებელ სამუშაოთა მოსაწყობად და შოთა რუსთაველის ძეგლის კონკურსის ჩასატარებლად საქართველოს სახკომსაბჭოსთან დაარსდეს კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 1. გერმანე მგალობლიშვილი (თავმჯდომარე), 2. ლ. გერია, 3. მაქსიმე გორკი, 4. ფილიპე მახარაძე, 5. პ. აღნიაშვილი, 6. კ. ორაგველიძე, 7. მალაქია ტოროშელიძე, 8. ა. თათარიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), 9. ვ. ბაქრაძე, 10. ბ. არუთინოვი, 11. ბ. სტურუა, 12. ბ. ყურულაშვილი, 13. ბ. ბიორგოგიანი, 14. ე. ბედია, 15. ა. დუდუჩავა (მდივანი), 16. ბ. ბიბინეიშვილი, 17. ს. თოდრია, 18. ლ. აღნიაშვილი, 19. აკადემიკოსი ნ. მარი, 20. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, 21. პროფ. კ. კეკელიძე, 22. პროფ. ი. აბულაძე, 23. პროფ. ა. შანიძე, 24. მ. ჯავახიშვილი, 25. სახალხო მწერალი გ. ტაბიძე, 26. სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, 27. სახალხო არტისტი ა. ახმეტელი, 28. ჩარენცი, 29. რ. ახუნდოვი, 30. ბ. იაშვილი, 31. ა. ეული, 32. კ. ტიხინაძე, 33. პ. ინგოროყვა, 34. კ. გამსახურდია, 35. ლ. გუდიაშვილი, 36. ა. თითბერიძე, 37. ა. შანშიაშვილი, 38. არაყიშვილი, 39. ს. ჩიქოვანი, 40. ვ. ჯიქია, 41. ბერონტი ქიქოძე.

4. განათლების სახალხო კომისარიატმა დააწესოს რუსთაველის სახელობის მუდმივი ჯილდო, რომელიც ყოველწლიურად მიესჯება საუკეთესო მაღალ-მხატვრულ პოეტურ ნაწარმოებთ (ორიგინალურს თუ თარგმნილს) ქართულ ენაზე და ამ მიზნით 1935 წლიდან ყოველწლიურად გაითვალისწინოს თავის ბიუჯეტში 20.000 მანეთი.

5. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა მოამზადოს „ვეფხვის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემა და საამისო მუშაობა დაამთავროს 1936 წლის დამლევისათვის. სახელგამმა უზრუნველყოს მისი გამოცემა რუსთაველის იუბილესთვის.

6. სახელგამმა 1935 წელს დაბეჭდოს „ვეფხვის ტყაოსნის" გაიაფებული გამოცემა მასობრივი ტირაჟით.

7. მოწოლებულ იქნას გამოცემლობა „აკადემიის" წინადადება „ვეფხვის ტყაოსნის" რუსული თარგმანის გამოცემის შესახებ. ამ საქმეში განათლების სახალხო კომისარიატმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს „აკადემიას".

8. განათლების სახალხო კომისარიატს დაევალოს 2 თვის ვადაში დაამუშაოს და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინოს ღონისძიებანი „ვეფხვის ტყაოსნის" სხვა ენებზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ.

9. განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელგამმა გამოაცხადონ მხატვართა კონკურსი „ვეფხვის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემის მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციებზე.

10. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კომპოზიტორთა კონკურსი რუსთაველის სახელთან და მის პოემასთან დაკავშირებულ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე (ოპერა, სიმფონია და სხვ.).

11. საქართველოს სახკინმრეწვმა გამოაცხადოს კონკურსი „ვეფხვის ტყაოსნის" საუკეთესო სცენარზე და წეიტანოს იგი 1935 წლის თემატიკურ გეგმაში.

12. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კონკურსი „ვეფხვის ტყაოსნის" საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებზე.

13. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს მიეკუთვნოს შოთა რუსთაველის სახელი.

14. სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ფაკულტეტმა დაარსოს შოთა რუსთაველის კათედრა.

15. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს მოეწყოს: ა) შოთა რუსთაველის შესწავლის სექცია და ბ) რუსთაველის მუზეუმი.

მრავალეროვანი დიდი საბჭოთა literature

მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე გამოდიან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების — უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თათარისტანის, ტაჯიკისტანის, თურქმენისტანის და უზბეკისტანის მწერლობის წარმომადგენლები. თვითეულ ამ ცხრათაგანს ბევრი რამ ქონდა სათქმელი მსოფლიოში პირველად მოწვეულ ასეთი ყრილობისათვის, ისე როგორც ბევრი რამ აქვს სათქმელი (და იტყვიან კიდეც) ჩვენი დიდი სამშობლოს ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების დანარჩენ მწერლობათა წარმომადგენლებს.

საბჭოთა აღმოსავლეთი! მხოლოდ დღეს იშლება ნამდვილად მისი სილამაზე და შესაძლებლობა, მისი მილიონ მოსახლეობის პოტენციალური ძალები. ჯერ კიდევ გუშინ, ისტორიულად გუშინ იმპერიალიზმის მეხოტბენი ამკობდენ აღმოსავლეთის სილატაკეს და უვიცობას ეგზოტიკის ვარაყით, უმღერდენ რა კაპიტალისტ-დამპყრობელების „კულტურას". ზეპირი სიმღერა იყო ხშირად მხატვრული შემოქმედების ერთადერთი სახე.

მხოლოდ ჩანასახში არსებობდა, აუუვავებლად, სულშეხუთული ნაციონალური ლიტერატურა თურქმენიის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, თათარისტანის... პესიმიზმით და უსასოობით იყო გამსჭვალული თურქმენისტანის ოქტომბრის წინადროინდელი ხალხური სიმღერა. უდიდესი რევოლუციური ოპტიმიზმი სჩანს საბჭოთა კავშირის ყოველ ნაციონალურ ლიტერატურაში. ეს კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამომჟღავნდა ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებიდან.

ჩვენმა პარტიამ, ოქტომბერმა, ინდუსტრიალიზაციამ, საკოლმეურნეო წყობილებამ წარმოშვეს ნაციონალურ რესპუბლიკებში მრავალ მილიონი ახალი ადამიანი, რომლებმაც პირველად შეიცვნეს თავის კაცური ღირსება. პარტიამ, ოქტომბერმა, ხუთწლედმა შეასწავლეს ამ მილიონებს წერაკითხვა, შექმნეს ახალი თვითეულ ამ ხალხში მშრომელი ინტელიგენციის ძლიერი ფენა, აღძრეს მათში საკუთარი კულტურის — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნის წყურვილი. და ამ წყურვილს უკვე იკმაყოფილებენ ეს ხალხები მხატვრული შემოქმედების წყაროებიდან ამოხეთქილი წყლით.

ათასობით სულ ახალი და ახალი წიგნები, გაზეთების, ჟურნალების მილიონიანი ტირაჟები, ხალხისათვის ასობით ცნობილი პოეტები და პროზაიკოსები, დაზგებიდან და ტრაქტორებიდან მოსული მწერლები, ლიტერატურის ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები, ერთი ხალხის მწერლობის ძმური დახმარება მეორესადმი, საბჭოთა კავშირის გარდა, განა სადმე შესაძლებელია კიდევ კულტურის ასეთი ძლიერი აღმავლობა? არსად! და სწორედ ამიტომ ასე მხურვალედ უყვართ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხებს თავის მთლიანი დიდი სამშობლო, ამიტომ სძულთ მათ უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, თათარისტანის და სხვ. ეროვნების ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ჰყიდიან თავიანთ კალამს ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და ლამობენ ნაციონალიზმის ყალბი დროშით უკან შემოაბრუნონ, კაპიტალიზმის გზაზე დააყენონ თავიანთი ხალხები.

ახალ გმირებს ეძებს და ვერ პოულობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბურჟუაზიული ლიტერატურა. ქურდი, ყალთაბანდი, გაიძვერა, — ასეთია დღევანდელი ეპოქის ბურჟუაზიის „გმირული" ფიგურების ღარიბი ასორტიმენტი. ჩვენს ახალგაზრდა ქვეყანაში, ერთიანი საბჭოთა ორგანიზმის თვითეულ ნაციონალურ უჯრედში — ნამდვილი გმირობა გადაიქცა ყოველდღიურობად.

ზრდის ტკივილები კიდევ აწუხებს ჩვენს ნაციონალურ მეწრლობებს. ლიტერატურის ხარისხი — ჯერ კიდევ გვაიძულებს ვისურვოთ მისი გაუმჯობესება. სუსტია ყოველდღიური ურთიერთობა და გამოცდილების გაზვიადება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურებს შორის. თვითეულ რესპუბლიკაში ძალიან ბევრია ისეთი პოეტი და პროზაიკოსი, რომელთა ნაწარმოებნი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების ყურადღების ღირსნი არიან, მაგრამ მათ ძალიან ცოტას სთარგმნიან ქართულიდან, უზბეკურიდან, ტაჯიკურიდან, თათრულიდან — რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ და სხვა ენებზე. ეს ხშირად იწვევს მწერლის შემოქმედების მავნე ხელოვნურ შემოფარგვლას მისი ნაციონალური ენის ზღუდეებით, ეს აღარიბებს მთელი კავშირის ლიტერატურას, ასუსტებს კულტურულ კავშირს საბჭოთა ხალხებს შორის.

ამ მტკიცე, შეურყეველი კავშირით სამართლიანად ამაყობენ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები, ამაყობენ ჩვენ მიერ ყველა ეროვნებებში აღზრდილი სამწერლო ინტელიგენციით, რომელიც იბრძვის თავის ერთიანი საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, იბრძვის კალმით და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, იბრძოლებს თოფით.

დიახ, თოფით. ყველაზე დიდი და საპატიო ამოცანაა საბჭოთა მწერლისათვის მხატვრული სიტყვით გაალვივოს გმირობა მშრომელთა მილიონებში, აღძრას შრომის გმირობა და საბჭოთა მამულის თავდაცვის გმირობა. წერა ჩვენს დიდ ყველა ხალხისთვის ერთ მთლიან სამშობლოზე, ბრძოლა ამ სამშობლოსათვის კალმით, ხოლო თუ საჭირო შეიქნა, თოფით და ტყვიის მფრქვეველით, — განა ამაზე საპატიო დანიშნულება არსებობს საბჭოთა ქვეყნის მწერლისათვის?

ამ პატივის ღირსი ეჭვს გარეშე აღმოჩნდებიან საბჭოთა კავშირის ყოველი ნაციონალური ლიტერატურის შემომქმედნი. (პრავდა).

გ. ახვლედიანი

გგერათანალიზის მნიშვნელობა „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის დადგენისათვის

უეჭველია, რომ საქ. ც. კ. 20 აგვისტოს დადგენილება **შოთა რუსთაველის** შესახებ შექმნის ახალ ეპოქას **„ვეფხის-ტყაოსნის"** მეცნიერულად შესწავლის საქმეშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს დროში გამოქვეყნდება დაწყებულ შრომათა გაგრძელება (მაგ. **ვ. ინგოროყვას „რუსთველიანას"** მე-2 და მე-3 ტ.ტ.) და არა ერთი და ორი სხვა გამოკვლევა დაიწერება **„ვეფხის-ტყაოსნის"** მრავალი სადაო საკითხების შესახებ. შესაძლოა, ბევრი რამ ვერ მოესწროს მის აკადემიური გამოცემისათვის, რომელიც უნდა დამზადდეს 1936 წლის დამლევს, მაგრამ სახელმწ. უნივერსიტეტში **შოთა რუსთაველის** კათედრისა და ენისა და ლიტერატურის ინსტ-ში **შოთა რუსთაველის** სექციის შექმნა იმის თავდებია, რომ ჩვენში მტკიცე საფუძველი ჩაეყრება **რუსთაველოლოგიას**, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. ორწელიწადნახევარი საკმაო დროა იმისათვის, რომ რუსთაველმცოდნეობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას წინ იმასთან შედარებით, რა დონეზეც ის დღეს იმყოფება, რათა იუბილესათვის აკადემიურად გამოცემულმა დაასკვნას წარმოებული კვლევის შედეგები და გასწმინდოს გზები ახალი კვლევისათვის. ვფიქრობთ, რომ ეს არაა შეუძლებელი, უკეთუ მობილიზებულ იქნებიან ყველა ძალები და სათანადოდ იქნება მათ შორის განაწილებული შრომა...

რუსთაველმცოდნეობის ერთერთი ძირითადი საკითხია „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის დადგენა. ცნობილია, რომ ხელნაწერის სახით გავრცელებულმა **„ვეფხის-ტყაოსანმა"** საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საუკუნეთა განმავლობაში — ჩამატებისა, გამოკლებისა და შესწორების სახით; ზოგიერთი მათგანის გამოცნობა და პირვანდელი ტექსტის დადგენა საკმაოდ ძნელი საქმეა, როგორც ამას ადასტურებენ ჩვენი ცნობილი რუსთაველმცოდნეები. უნდა ითქვას, რომ „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის დადგენისათვის ჯერ-ჯერობით არცაა საკმაოდ გამოყენებული ყველა ის მეთოდები, რომლებიც ცნობილია ამისათვის; მაგ. ნაკლებადაა გამოყენებული ე. წ. ლექსიკალური მეთოდი, თითქმის სრულიად არაა შესწავლილი **რუსთაველის** პოეტიკა და კერძოდ — ლექსთწყობა (**ვ. ინგოროყვას „ვეფხის-ტყაოსნის" პოეტიკა** გამოუქვეყნებელია!) და სრულებით არავის უფიქრია ჯერ-ჯერობით ე. წ. **გგერათანალიზის მეთოდის** გამოყენება „ვ.-ტ." ტექსტის დადგენისას.

ორიოდე სიტყვა ამ უკანასკნელზე. გგერათანალიზის (Schallanalyse) ავტორია გამოჩენილი ენათმეცნიერი და ფონეტიკოსი **ედ. ზივერსი** (Ed. Sievers), რომელიც დაეყრდნო **ო. რუტცის** (O. Rytz) აღმოჩენას (1908) ადამიანის სახმოქმედებისა (მეტყველება, სიმღერა) და ტანის მდგომარეობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ: **ზივერსმა** გამოიყენა გგერათანალიზი, სხვათა შორის, ტექსტის კრიტიკულ განხილვაში. მისი მთავარი დებულება ასეთია: **ყოველი ტექსტი შესაძლებელია წარმოითქვას ისე, რომ აღდგენილ იქნას ტექსტის ავტორის ხმის თავისებურებანი — ხმის სიმაღლე, ტემბრი, მახვილი, მელოდიურობა და რიტმი.** მაშასადამე, ტექსტი, რომელიც არსებობს მკითხველის მხოლოდ მხედველობისათვის, იარსებებს აგრეთვე მისი სმენისთვისაც და სწორედ იმ გგერითი სახით, როგორც მას წაიკითხავდა მისი ავტორი. აქედან ცხადია, თუ რა სამსახური შეუძლია გასწიოს გგერათანალიზმა, რა თქმა უნდა, სხვა მეთოდებთან ერთად: იქ, სადაც დაირღვევა წარმოთქმაში გარკვეული გგეროვანობა (გგერითი სტრუქტურა), საქმე გვექნება არა ერთსადაიმავე ავტორთან, არამედ სხვადასხვასთან, რამდენადაც ხმის თავისებურებანი სხვადასხვა აქვს ყოველ პიროვნებას, როგორც შესაფერი მდგომარეობა ტანისა. მეთოდის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი წარმოითქვას შესაფერისად, ე. ი. მონახულ იქნას ტექსტის ავტორის ტანის მდგომარეობის ტიპი; ამისთვის კი არაა საკმარისი მხოლოდ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული დახელოვნება, არამედ საჭიროა გარკვეული უნარი, მოწოდება... მეთოდი ფრიად რთულია, იგი მოითხოვს დიდს და ხანგრძლივ შრომას და მრავალ საცდელ იარაღს, მაგრამ მისი შედეგები იმდენად ეფექტურია, რომ არ შეიძლება გამოყენებულ არ იქნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის დადგენა.

გგერათანალიზის შესახებ არსებობს საკმაო ლიტერატურა და ამ მეთოდით დამუშავებულია რამდენიმე ძველი ტექსტი, მაგ. ედდებისა და „Слово о полку Игореве"-სი (ზოგი რამ მოიპოვება ტფილსშიაც).

საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა

ყრილობის გახსნა

კავშირთა სახლის საკოლონო დარბაზი.

საღამოს 6 ს. 45 წუთი. მრავალხმიანი ხმაური ერთბაშად წყდება. ტრიბუნაზე გამოდის **გორკი.** მას მოჰყვებიან საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. გორკი ნელი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან. მქუხარე ტაში. მწერალთა ყრილობა განსაკუთრებული გულთბილობით ესალმება უდიდეს პროლეტარულ მწერალს — ალექსი მაქსიმისძეს.

მხცოვანი პროლეტარული მწერალი, რომლის შესახებ ლენინმა სთქვა, რომ „მან თავისი უდიდესი მხატვრული ნაწარმოებით მჭიდროდ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობას“, ხსნის ასსამოცდაათ მილიონიანი თავისუფალი ხალხის საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობას.

რამდენიმე წუთი გადის, ვიდრე დარბაზში დაცხრებოდეს მქუხარე ტაშის ცემა. გორკი იწყებს შესავალ სიტყვას. როცა იგი ამბობს: „ქვეყანა, სადაც დაუღალავად და განსაცვიფრებელი ძალით მუშაობს იოსებ სტალინის რკინის ნებისყოფა“,—დარბაზის მყუდროებას კიდევ უფრო მეტი სიძლიერით არყევს აღტაცების ძახილი და ტაშის გრგვინვა.

ყრილობის პრეზიდიუმში: ა. მ. გორკი და ამხ. ჟდანოვი.

30. პოგოდინი, 31. სტეცკი, 32. სერაფიმოვიჩი, 33. სეიფულინა, 34. სტავსკი, 35. სიმონიანი, 36. სულეიმანი, არშაღა-სტალიდან, 37. ა. ტოლსტოი, 38. ტაგიროვი, 39. ტინინა, 40. ტაშ-ნაზაროვი, 41. ტიხონოვი, 42. ტოროშელიძე, 43. ფეფერი, 44. ფედინი, 45. ფადეევი, 46. შოლოხოვი, 47. მარიეტა შაღინანი, 48. შირვან-ზადე, 49. ილია ერენბურგი, 50. იუდინი, 51. ხვილი, 52. ხაირატი.

შემდეგ ყრილობა ირჩევს სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

სამდივნო:

1. კირილენკო, 2. ალაზანი, 3. ალექსანდროვიჩი, 4. ალტმანი, 5. ბილ-ბელოცერკოვსკი, 6. ილენკოვი, 7. პერვომაისკი, 8. რომაშევი, 9. ზარკიში, 10. მარშაკი, 11. სლონიცკი, 12. ფერასიმოვა, 13. ჩუმანდრინი, 14. ჯანსუგუროვი, 15. ნაჯიმი.

სამანდატო კომისია:

1. ვიშნევსკი, 2. ალაზანი, 3. კოლასი, 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible]

სარედაქციო კომისია:

1. სუბოცკი, 2. ერმილოვი, 3. ლიხინი, 4. ბოლოტნიკოვი, 5. მ. როზენტალი, 6. სჩუპაკი, 7. ვ. ინბერი, 8. ალეკპერლი.

საპატიო პრეზიდიუმი

ლენინგრადის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, და ამიერ-კავკასიის დელეგაციების სახელით ამხ. **ნ. ტიხონოვი** წინადადებას იძლევა საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან: **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი ორჯონიკიძე, კუიბიშევი, კიროვი, ანდრეევი, კოსიორი, ტელმანი, დიმიტროვი, მ. გორკი.**

სტალინის სახელის ხსენებას დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. ყველა დგება, ისმის ვაშას ძახილი.

ყრილობა ერთხმად იღებს შემდეგ დღის წესრიგს: მოხსენება საბჭოთა ლიტერატურაზე—**ა. მ. გორკი.** თანამოხსენება საბავშვო ლიტერატურაზე **ს. მარშაკი;** მოხსენებები: უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, თათრეთის, ტაჯიკისტანის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის, ლიტერატურაზე; მოხსენება საერთაშორისო მხატვრულ ლიტერატურაზე—**კ. რადეკი.** მოხსენებები-დრამატურგიაზე -**ვ. კირპოტინი, ა. ტოლსტოი, ვ. კირშონი, ნ. პოგოდინი.** მოხსენება საბჭოთა პოეზიაზე—**ნ. ბუხარინი და ნ. ტიხონოვი.** მოხსენებები ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის შესახებ—**ვ. სტავსკი** და **კ. გორბუნოვი.** მოხსენება საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების შესახებ. — **პ. იუდინი.** დასასრულ საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა.

საბჭოთა მხატვრული სიტყვის ოსტატების, „სულის ინჟენერთა“ გვერდით დარბაზში სხედან ასობით მკითხველნი, მკითხველთა საუკეთესო წარმომადგენელნი. ესენი არიან საბჭოთა ქვეყნის სასახელო ადამიანები, გმირი დამკვრელები. ყრილობის პრეზიდიუმში სხედან **ნიკიტა იზოტოვი, სტეპანენკო, კაუშნინი,** დონბასის საუკეთესო მაღაროელნი, წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულნი.

მ. გორკის შესავალი სიტყვის შემდეგ ამხ. **მიკიტენკოს** წინადადებით ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს და სხვა ორგანოებს...

ყრილობის პრეზიდიუმი;

1. აინი, 2. ბეზიმენსკი, 3. ბუბნოვი, 4. დემიან ბედნი, 5. ბ. ილეში, 6. გლადკოვი, 7. მ. გორკი, 8. ჟდანოვი, 9. ჯაეანიშვილი, 10. ჯაბარლი, 11. ვს. ივანოვი, 12. კარავაევა, 13. კირპოტინი, 14. კოსარევი, 15. კირშონი, 16. კულიკი, 17. კლიმკოვიჩი, 18. კოლცოვი, 19. კუპალა-იანკა, 20. ლახუტი, 21. ლეონოვი, 22. მეხლისი, 23. მალიშკინი, 24. მიკიტენკო, 25. ნოვიკოვ-პრიბოი, 26. პავლენკო, 27. პანჩო, 28. პანფეროვი, 29. პასტერნაკი,

საპატიო პრეზიდიუმი

ლენინგრადის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, და ამიერ-კავკასიის დელეგაციების სახელით ამხ. **ნ. ტიხონოვი** წინადადებას იძლევა საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან: **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი ორჯონიკიძე, კუიბიშევი, კიროვი, ანდრეევი, კოსიორი, ტელმანი, დიმიტროვი, მ. გორკი.**

სტალინის სახელის ხსენებას დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. ყველა დგება, ისმის ვაშას ძახილი.

ყრილობა ერთხმად იღებს შემდეგ დღის წესრიგს: მოხსენება საბჭოთა ლიტერატურაზე—**ა. მ. გორკი.** თანამოხსენება საბავშვო ლიტერატურაზე **ს. მარშაკი;** მოხსენებები: უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, თათრეთის, ტაჯიკისტანის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის, ლიტერატურაზე; მოხსენება საერთაშორისო მხატვრულ ლიტერატურაზე—**კ. რადეკი.** მოხსენებები-დრამატურგიაზე -**ვ. კირპოტინი, ა. ტოლსტოი, ვ. კირშონი, ნ. პოგოდინი.** მოხსენება საბჭოთა პოეზიაზე—**ნ. ბუხარინი და ნ. ტიხონოვი.** მოხსენებები ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის შესახებ—**ვ. სტავსკი** და **კ. გორბუნოვი.** მოხსენება საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების შესახებ. — **პ. იუდინი.** დასასრულ საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა.

ამხ. ჟდანოვის სიტყვა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და სახკომსაბჭოსგან ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ამხ. **ჟდანოვი.**

ყველა ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშის ცემით ხვდება პარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივნის გამოჩენას ტრიბუნაზე.

ამხ. **ჟდანოვი** მწერალთა წინაშე შლის ჩვენი დიდი სამშობლოს დიად სამუშაოთა პროგრამას. როგორ იცვლება სახე ჩვენი ქვეყნის, სახე ადამიანების, რომლებიც სოციალიზმს ჰქმნიან, — ყოველივე ამან ღირსეული გამოხატულება უნდა ჰპოვოს საბჭოთა ლიტერატურაში. ჩვენი ლიტერატურა რაზმავს მილიონებს აწმყოსა და საუკეთესო მომავლისათვის საბრძოლველად. უნებურად აუცილებელი ხდება გავაკეთოთ პარალელი კაპიტალისტურ ლიტერატურასთან.

— რაზე უნდა სწეროს,—ამბობს ამხ. ჟდანოვი,—რაზე უნდა იოცნებოს ბურჟუაზიულმა მწერალმა? იქ ხომ არავის სჯერა ხვალინდელი დღე. სად ჰპოვოს მან წყარო პათოსისათვის?

ყველაზე უმჯობესი იქნება, თუ პარალელს გავატარებთ ბურჟუაზიულ სამყაროსა და სოციალისტურ სამყაროს შორის. მათი გმირები იმედგაცრუებული ადამიანები, ქურდები, საიდუმლო პოლიციის აგენტები, ავანტიურისტები. აი ვინ არიან ისინი. მწერალი იქ ხდება პესიმისტი. დასავლეთის მწერალთა საუკეთესო ნაწილი ეძებს გამოსასვლელს ჩიხიდან და სოციალიზმის ქვეყნისაკენ იხედება.. ჩვენი ქვეყნის მთავარი ფიგურა, ჩვენი ლიტერატურის ცენტრალური ფიგურები, არიან: მაგნიტომშენის, დნეპრომშენის, „ჩელიუსკინის“ ადამიანები, ახალ ცხოვრების მშენებელნი. სასახელო და საპასუხისმგებლოა წოდება, რომელიც მისცა ამხ. **სტალინმა** მწერალს — „ადამიანის სულის ინჟენერი“, ეს საბჭოთა მწერალს ბევრ რამეს ავალებს.

„ადამიანის სულის ინჟენერი“ რომ იყო, ეს ნიშნავს იმას, რომ ორივე ფეხით იდგე რეალური ცხოვრების ნიადაგზე, იყო დიდი პერსპექტივის მხატვარი და ასახო არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ხვალინდელი დღეც. იყო ადამიანის სულის ინჟენერი, — ეს ნიშნავს ზედმიწევნით იცოდე შენი საქმის ტექნიკა, აქტიურად იბრძოდე ენის კულტურისათვის, ნაწარმოების ხარისხისათვის.

იყო „ადამიანის სულის ინჟენერი“, — ნიშნავს შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომ მათზე სწავლობდენ თანამედროვენი, რომ ეს ნაწარმოებნი შეიქმნენ მომავალ თაობათა სასახელო და საამაყო ნაწარმოებად.

ამხ. ჟდანოვის მისალმების უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მქუხარე ხანგრძლივი ტაში.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა **ა. მ. გორკის.** ყრილობა ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშით ეგებება ალექსი მაქსიმეს-ძეს გამოჩენას ტრიბუნაზე.

დიდი საბჭოთა ლიტერატურა

ამხ. ა. მ. გორკის მოხსენება

გამანცვიფრებელი ერუდიცია გამოამჟღავნა უდიდესმა საბჭოთა მწერალმა თავის ვრცელ მოხსენებაში. მ. გორკის მოხსენებიდან მსმენელის წინაშე წამოიშალენ მსოფლიო ლიტერატურის შემოქმედთა და გმირთა, ფილოსოფოსთა და სწავლულთა, პოლიტიკოსთა და უტოპისტთა, მეცნიერთა და ბანდიტთა, ბნელეთის მსახურთა და ექსპლოატატურულ საზოგადოების წარმომადგენელთა ათეული სახელები, უხსოვარ დროიდან დღემდე.

უძველეს დროთა ნამდვილ ხალხურ შემოქმედებას — ფოლკლორის ზეპირ შემოქმედებას, მითებს, ზღაპრებს — ყოველივე ამას ფესვები აქვს შრომაში და უძველეს დროის ადამიანთა ოცნებაში — მოაშინაურონ ცხოველები, მიაღწიონ სწრაფ მოძრაობას — მიწაზე, წყალზე, „ჰაერში, უჩინმაჩინის ქუდებით“, „მფრინავ ხალიჩებით“. ხალხური შემოქმედების ეს ნამდვილი საფუძველი დაამახინჯეს და შერყვნეს ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, მღვდელმსახურებმა და ექსპლოატატორული ბნელეთის მოციქულებმა. ბურჟუაზიული საზოგადოების მესვეურებმა და წინამძღოლებმა შეკვეცეს, ფრთები შეაჭრეს ყოველგვარ კულტურას. მუშებსა და გლეხებს წაართვეს განათლების, გონების განვითარების, ცხოვრების შეცნობის უფლება, ცხოვრების პირობების შეცვლის, შრომის მესაკუთრეების შესაძლებლობა.

ექსპლოატატორული წყობილებისთვის დამახასიათებელია შრომის და აზროვნების გათიშვა. თავი მოწყდა ხელებს, აზრი — მიწას, მაგრამ გმირების ნამდვილ სრულყოფილი ტიპები შექმნა ფოლკლორმა — მშრომელი ხალხის შემოქმედებამ.

ხოლო რა მოგვცა ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ? ვინ არის მისი მთავარი, მუდმივი გმირი? ეს არის — ქურდი, გაიძვერა, მატყუარა, ავანტიურისტი და ისევ ქურდი. აი ეს არის ნამდვილი ბურჟუაზიული ლიტერატურა, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ამ ლიტერატურის მომხმარებელთა ნამდვილ გემოვნებას, ინტერესებსა და ზნეობას.

ხელოვნება, მისი ყოველი დარგი, მათ შორის ლიტერატურა გადაგვარების გზაზე დგას კაპიტალისტურ საზოგადოებაში. კაპიტალიზმმა თავისი ლიტერატურა მიიყვანა შემოქმედებითი დაუძლურებამდე, რომელიც მეოცე საუკუნეში გამოამჟღავნა თვით ბურჟუაზიამ.

დაახასიათა რა მეცხრამეტე საუკუნის დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სხვადასხვა მიმდინარეობა, მ. გორკი ვრცლად შეჩერდა რუსულ ლიტერატურაზე.

მეცხრამეტე საუკუნის რევოლუციის წინადროინდელი რუსული ლიტერატურის ძირითადი და მთავარი თემა იყო, — ამბობს მომხსენებელი, — დრამა პიროვნების, რომელსაც ცხოვრება ევიწროება, და რომელიც საზოგადოებას უპირისპირდება. სულ სხვაა საბჭოების ქვეყანაში. საფუძვლიანად გამოიცვალა — თვით ჩვენი მიწის პეიზაჟიც. აქ მიმდინარეობს ძველი ყოფის ძირეული ნგრევა. ადამიანში იღვიძებს შეცნობა თავისი თავის, როგორც ძალის, რომელიც ცვლის ქვეყანას. ამ ახალ თვისებას აღამიანში — უნდა შეეპაბამებოდეს ჩვენი მზარდი საბჭოთა მწერლობა. სინამდვილე, — ამბობს ალექსი მაქსიმეს-ძე, — თანდათან უფრო მეტ „ნედლ“ მასალას გვაძლევს მხატვრული განზოგადოებისათვის. მაგრამ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ვერ დაუფლებია მთელ ამ მასალას.

ეხება რა საბჭოთა ლიტერატურის ნაკლს, მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს — საბჭოთა ქალის მკაფიო სახის მოუცემლობას, საბჭოთა მწერლების უმნიშვნელო ყურადღებას **ბავშვებისადმი** ლიტერატურაში. შემდეგ ალექსი მაქსიმეს-ძე მოაგონებს ყრილობას, რომ საბჭოთა ლიტერატურა — ეს არის არა მარტო რუსული ენის ლიტერატურა, არამედ სრულიად საკავშირო ლიტერატურა. იგიც განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს, თუ როგორ იზრდება დიდ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა მწერლობა. მქუხარე ტაშის ცემით ხვდება დარბაზი ამხ. გორკის სიტყვებს — დიდი კავშირის ხალხთა და მათი მწერლობის ძმურ თანამშრომლობაზე, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში.

ჩვენ ლიტერატურას აქვს მრავალი ღირსება და მონაპოვარი. მათზე უნდა ვილაპარაკოთ ხმამაღლა და უდიდესი სიხარულით; დიდად აფასებს მრავალ ჩვენ მხატვრულ წიგნს ჩვენი ძირითადი მკითხველი — მუშა და კოლმეურნე. ჩვენ უკვე გვყავს, — ამბობს მომხსენებელი, — სიტყვის ოსტატების მოზრდილი წამყვანი ჯგუფი. ეს ჯგუფი აკავშირებს ყველაზე ნიჭიერ პარტიულ ლიტერატორებს უპარტიოებთან, ხოლო ეს უკანასკნელნი ხდებიან საბჭოთა მწერლებად არა სიტყვით, არამედ საქმით. რადგან ისინი უფრო და უფრო ღრმად სწვდებიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გმირული მუშაობის საერთო საკაცობრიო აზრს.

ლენინ-სტალინის პარტიას, სოციალიზმის მშენებელ ხელმძღვანელს, რომელიც ზრდის და მზრუნველობით თავს დასტრიალებს საბჭოთა ლიტერატურას, **სტალინს** — პარტიისა და პროლეტარიატის ბელადს, — თავის მოხსენების შრავალ ადგილას მხურვალე სიტყვებს უძღვნის მომხსენებელი.

საბჭოთა მწერლების კავშირმა თავს უნდა იდვას დამწყებ მწერალთა არმიის ხელმძღვანელობა.. — მწერალთა კავშირის ამ ამოცანას განსაკუთრებით ხაზს უსვამს **მ. გორკი,** რომელიც მოხსენებას შემდეგი მოწოდებით ამთავრებს: — ჩვენმა ყრილობამ უნდა იკისროს მწერლების დარაზმვა, ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდა იმ მუშაობით, რომელსაც აქვს ჩვენი სამშობლოს წარსულისა და აწმყოს ყოველმხრივი შეცნობის მნიშვნელობა.

გაუმარჯოს სტალინს!

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო დამკვრელი დონბასელი **ნიკიტა იზოტოვი.**

— მე მოვედი აქ, — ამბობს იგი, — ჩემი ამხანაგებით. ესენი მაღაროს საუკეთესო მგრეველნი და მბურღავი მანქანების ჩინებული ოსტატები არიან.

მე ვიკისრე მათი გაწრთვნა და ვასწავლე კიდეც მუშაობა. მე გადავეცი მათ მთელი ჩემი გამოცდილება. განა თქვენ არ შეგიძლიათ ასეთივე დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს სალიტერატურო წრეებს და ჩვენს ახალგაზრდობას, რომ მათგან მოამზადოთ ღირსეული შემცვლელნი?

იზოტოვი ტრიბუნაზე შესცვალა პოეტმა ლუგოვსკოიმ.

ყველა დელეგაციის სახელით იგი წინადადებას იძლევა გაეგზავნოს მისალმება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და საბჭოთა მწერლების საუკეთესო მეგობარს ამხანაგ **სტალინს.** მისალმების ტექსტს აღფრთოვანებით ღებულობს ყრილობა. ყველა დგება. ისმის ძახილი: გაუმარჯოს ამხ. **სტალინს.**

საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის

რეზოლუცია

ამხ. ა. მ. გორკის მოხსენების, ნაციონალურ ლიტერატურათა და საბავშო ლიტერატურის შესახებ თანამოხსენებათა გამო

საბჭოთა მწერლების პირველმა საკავშირო ყრილობამ მოისმინა და განიხილა ა. მ. გორკის მოხსენება საბჭოთა ლიტერატურის შესახებ, თანამოხსენებანი უკრაინის ს.ს.რ-ის, ბელორუსიის ს.ს.რ-ის, საქართველოს ს.ს.რ-ის, სომხეთის ს.ს.რ-ის, აზერბეიჯანის ს.ს.რ-ის, ტაჯიკისტანის ს.ს.რ-ის, თურქმენისტანის ს.ს.რ-ის, უზბეკისტანის ს.ს.რ-ის და თათართა ავტონომიური ს.ს.რ-ის ლიტერატურათა შესახებ და თანამოხსენება საბავშო ლიტერატურის შესახებ, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისა და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და მშრომელი მასების კლასობრივი მტრების განადგურების შედეგად, გაიზარდა სოციალისტური კულტურის და მშრომელი მასების სოციალისტურად აღზრდის ძლევამოსილ ძალად.

გმირული საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის მეთაურობით, და პარტიის ყოველდღიური დახმარების მეოხებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მწერლები მოვიდენ თავიანთ პირველ ყრილობაზე, როგორც კოლექტივი იდეურად, ორგანიზებულად და შემოქმედებით შემჭიდროებულნი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ საბჭოთა მწერლების მთლიან კავშირში.

ყრილობა იწონებს საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის მოღვაწეობას, რომელმაც განახორციელა საბჭოთა მწერლების გაერთიანების ამოცანა საბჭოთა მწერლების კავშირში და უზრუნველყო მათი პირველი ყრილობის მომზადება.

ყრილობა აღნიშნავს ამ საქმეში დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის განსაკუთრებულ როლს.

ყრილობა ავალებს საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათვალისწინებით შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი საბჭოთა მწერლების ხელის შესაწყობად მათ შემოქმედებით მუშაობაში, დახმარების აღმოსაჩენად ახალგაზრდა დამწყებ საბჭოთა მწერლებისადმი და მწერლების კავშირის განსამტკიცებლად მშრომელ მასებთან იმ მიზნით, რომ საბჭოთა მწერლების კავშირის მთელმა მოღვაწეობამ უზრუნველყოს შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი აღმავლობა საბჭოთა ლიტერატურის ყველა დარგში და ხელოვნების მაღალ მხატვრულ, სოციალიზმის სულით გამსჭვალული ნაწარმოებთა შექმნა.

პატარა მკითხველის დიდი მოთხოვნა

ამხ. მარშაკის მოხსენება საბავშო ლიტერატურაზე

ძლევამოსილმა რევოლუციამ, რომელიც სცვლის ქვეყნის სახეს, საფუძვლიანად შეიცვალა და გარდაქმნა საბავშო ლიტერატურა. რევოლიუციამ მოსპო ბურჟუაზიული საბავშო ლიტერატურის, თავშესაქცევი ლიტერატურის საზიზღარი ტრადიცია.

ოქტომბერმა მოიტანა განსაკუთრებული მზრუნველობა მშრომელთა ბავშვებზე. ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს ეპყრობიან კარგად. იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრება არ თავდება ხვალინდელი დღით, არამედ მხოლოდ იწყება, სადაც მუშაობენ და იბრძვიან მომავლისათვის, არც შეიძლება არსებობდეს სხვა გვარი დამოკიდებულება ბავშვებისადმი.

ბავშვები ჩვენთვის, — ამბობს ამხ. მარშაკი, მომქანცველი, მოსაწყენი ზრუნვის საგანი როდია. ჩვენთვის ისინი არიან ადამიანები, რომელთაც მომავალში მრავალი დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი და რომელნიც კარგად უნდა მოვამზადოთ.

საბჭოთა ახალგაზრდა მკითხველები — სრულიად სხვანაირი, არა ჩვეულებრივი მკითხველები არიან. ბავშვები — ყველაზე გულმოდგინე მუდმივ მკითხველებს წარმოადგენენ. ისინი კითხულობენ არა მოწყენილობის გასაქარვებლად, არა თავის გასართობად, არა ამბულატორიებში, კბილის ექიმის კაბინეტში შესვლის წინ, არა გამოსასვლელ დღეებში, არა მედ ყოველ დღე, სისტემატიურად ისე, როგორც სისტემატიურად სადილობენ და დადიან სკოლაში. საბჭოთა მოწაფე, როგორც ქალაქელი, ისე სოფლელი — ეს არის არა უბრალო მკითხველი, არამედ წიგნის გატაცებული მაძებარი და წიგნზე მონადირე.

საბჭოთა ბავშვებს აინტერესებთ „სქელი“, დინამიური, სიმართლით დაწერილი წიგნი ჩვენს გმირულ ცხოვრებაზე, საბჭოთა გმირებზე; აინტერესებთ ისეთი წიგნი, რომელიც მათ მისცემს ცოდნას, გაუხსნის გზას ცხოვრებისაკენ, დაეხმარება პროფესიის არჩევაში, განუვითარებს გემოვნებას, მისცემს სწორ მიმართულებას მის მიდრეკილებებს.

ახალგაზრდა საბჭოთა მკითხველს სურს ბევრი რამ იცოდეს, იგი ყურადღებითა და დიდი მოთხოვნით ეკიდება მწერლობას. მას უყვარს გმირობა, განსაკუთრებით რევოლუციური გმირობა, მას უყვარს ტექნიკა და ისტორია. მას სურს ჩაწვდეს მეცნიერების საიდუმლოებას; იგი გატაცებული მკვლევარი და ფანტაზიორია. იგი ეძებს ძლიერი ადამიანის ცხოვრების სრულ აღწერილობას. იგი მოელის სოციალიზმის მშენებლობის ეპოპეიას. მას უყვარს ჩვენი დროის გმირი — და სურს ყოველმხრივ გაეცნოს ამ გმირს, მის ცხოვრებას, მის პროფესიას, მას სურს ისწავლოს ამ გმირისაგან შრომა და ბრძოლა.

ახალგაზრდა საბჭოთა მკითხველების ეს მოთხოვნები გამომხატველია სოციალისტური კულტურის უდიდესი ზრდისა ჩვენს ქვეყანაში.

რა შეუძლია გააკეთონ ახალი ადამიანის მოსამზადებლად საბჭოთა ლიტერატორებმა — პროზაიკოსებმა და პოეტებმა?

საბჭოთა მწერლებმა ახალგაზრდა მკითხველებს უნდა მისცეს მაღალი ღირსების მხატვრული, უბრალოდ და მკაფიოდ დაწერილი ბელეტრისტული, მეცნიერული და ტექნიკური ლიტერატურა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს **სურათოვანი, სახოვანი, მხატვრული.**

თუ წიგნში იქნება დამთავრებული სიუჟეტი, თუ ახალგაზრდა მკითხველი მასში დაინახავს ავტორის სიყვარულს — გმირ რევოლიუციონერებისადმი, და სიძულვილს რევოლიუციის მტრებისადმი, თუ წიგნი დაწერილი იქნება უბრალოდ, თუ მასში მოცემული იქნება — ცხოვრება არა სტატიურად, არამედ მოძრაობაში, რადგან ბავშვებს უყვართ დინამიური მშფოთვარე ცხოვრება; თუ ამ წიგნის გმირები აღძრავენ წაბაძვის სურვილს, თუ წიგნში იქნება იუმორი და დრამატიზმით სავსე მომენტები, — მას დიდი ხალისით და მხურვალე გრძნობით მიიღებს ახალგაზრდა მკითხველი.

რასაკვირველია, წერა ბავშვებისათვის ძნელი საქმეა. მაგრამ ამ სიძნელემ ხელი არ უნდა ააღებინოს მწერლებს მასზე, არამედ პირიქით მიიზიდოს სალიტერატურო ფრონტის საუკეთესო მეშაკები, ჩვენი არმიის საუკეთესო მეთაურები, მფრინავები, მუშები, მხატვრები, პედაგოგები, — ყველა ესენი აქტიურად უნდა ჩაებან დიდ მუშაობაში მრავალფეროვანი საბავშო ლიტერატურის შესაქმნელად. საბავშო ლიტერატურაში უნდა მოვიდეს დიდი სერიოზული მწერალი დიდი ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენც იმედს ვამყარებთ საკუთარ საბჭოთა ლიტერატურაზე. ვფიქრობთ, რომ იგი ძალებს მოიკრებს და მოგვცემს მიმდინარე წელსვე დიდ წიგნს პატარა მკითხველებისათვის — ახალ მოთხრობას, ახალ ზღაპარს ახალ სიმღერას.

ამხ. მარშაკის მოხსენების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარე ბელორუსი მწერალი **იანკა კუპალა** აცხადებს:

— მისალმებისათვის ყრილობაზე მოვიდენ პიონერები — წიგნი „Базы курносых“-ს ავტორები. დარბაზში მტკიცე ნაბიჯებით შემოდიან შესანიშნავი საბავშო წიგნის პიონერი ავტორები. ისინი მწკრივდებიან პრეზიდიუმის წინ. ერთ ერთი მათგანი **ალლა კანშინა** ადის ტრიბუნაზე, იგი ამ წიგნის ერთ ერთი თანაავტორია. იგი მოვიდა შეჭალარავებულ და სახელგანთქმულ მწერალთა ყრილობაზე — იმისათვის, რომ გამოსთქვას თავისი აზრი მწერლობაზე, წარუდგინოს თავის მოთხოვნილება, მოელაპარაკოს დიდ მწერლებს მისთვის მეტად მნიშვნელოვან და საყვარელ საქმეზე.

ახლა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ქ. ირკუცკის მეექვსე საქართნო სკოლის თუთხმეტმა პიონერმა დასწერა წიგნი „Базы курносых“, რომ პიონერებს არ მოეპოება კარგი წიგნები, რომ მწერლებმა დაივიწყეს პიონერები.

ალლა მოაგონებს ყრილობას კულაკებისაგან მხეცურად მოკლულ პიონერ **პავლიკა მოროზოვს.** — ასეთი პავლიკები ჩვენ შორის ათასობით არიან, — აღტაცებით ამბობს გოგონა. ალექსი მაქსიმოვიჩმა სწორად დასწერა, პავლე მოროზოვს ძეგლი უნდა აუგოთო. ეს საქმე უნდა გაკეთდეს. ჩვენ პიონერები ამას მივაღწევთ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე პრეზიდიუმში შედის წინადადება — მოეწყოს საღსრების შეკრება — მამაც პიონერ პავლიკა მოროზოვის ძეგლის ასაგებად.

ალექსი მაქსიმესძე იღებს ქაღალდის ფურცელს და სწერს:

„გმირი პიონერის პავლე მოროზოვის ძეგლისათვის, მ. გორკი — 500 მ.“

მ. გორკის გარს ეხვევა მთელი პრეზიდიუმი. ქაღალდის ფურცელი იფარება გვარებით.

ოქტომბერ რესპუბლიკები ტრიბუნაზე

უკრაინის ლიტერატურა

მოხს. ამხ. ი. კულიკი

საბჭოთა კავშირის ხალხების წარსული ლიტერატურის გაცნობა, — იწყებს თავის მოხსენებას ამხ. კულიკი, გვიმტკიცებს იმას, რომ ოქტომბრის რევოლიუციამდე, უსასტიკესი ნაციონალური ჩაგვრის პირობებშიდაც კი, მათ წარმოშვეს უდიდესი შემოქმედნი, მხატვრული ლიტერატურის ოსტატები, რომელთა ნაწარმოებნი შევიდენ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. ამხ. **მ. ტოროშელიძის** მიერ ქართული ლიტერატურის შესახებ მოწოდებულმა საინტერესო მასალებმა დიდად შეავსეს ის, რაც ჩვენ ვიცოდით ქართველი მწერლების თანამედროვე ნაწარმოებებზე. როცა ჩვენ მათ ღრმად და დაწვრილებით ვეცნობით, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ, თუ რამდენსა ვკარგავთ იმის გამო, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, თუ რამდენი უძვირფასესი ნაწარმოები რჩება ჩვენთვის უცნობი. სრულიად არ შემცდარა ამხ. მ. ტოროშელიძე, როცა მან „ვეფხის ტყაოსანს“ მსოფლიო ლიტერატურ-

სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის მეგობარი უცხოელი მწერლები.

მ. ანდ. ნესკე. მალრო ბ. შოუ. კ. მიხაელისი. რ. როლანი. ა. ბარბიუსი. ა. ჟიდი.



ი. კულიკი

რის ერთ ერთი უდიდესი ნაწარმოები უწოდა. ასევე სწორია მის მიერ **ნიკოლოზ ბარათაშვილის** შემოქმედების შეფასება. ქართული კლასიკური მხატვრული მწერლობა არაჩვეულებრივად მდიდარია და როგორც სჩანს, მისი გავლენა ძალიან ძლიერია თანამედროვე ქართველ მწერლებზე. როგორც სჩანს, ეს გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ჩვენი ამხანაგების ერთ ნაწილს საჭიროდ მიაჩნია შეეკამათოს მას თუნდაც ამხ. გორკის იმ მოსაზრების თანახმად, რომ „. . . ბურჟუაზიის როლი კულტურული შემოქმედების პროცესში ძალზე გადაჭარბებულია“. კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების და დაძლევის პრობლემა სდგას ისევე მწვავედ საბჭოთა კავშირის ყველა ლიტერატურის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლიტერატურის წინაშე, რომლის ნამდვილი მძლავრი განვითარება დაიწყო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ. საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურასთან გაცნობა, მასში მომხდარ პროცესების შესწავლა არა მარტო გაგვამდიდრებს ჩვენ ახალი მასალით ჩვენი შემოქმედებისათვის, არამედ იძლევა იმის ახსნასაც, რაც ჩვენ ხშირად გამოუცნობი და ნაკლებად გასაგები გვგონია ჩვენს ლიტერატურაში, გვამდიდრებს გამოცდილებით სოციალისტური ლიტერატურისათვის ბრძოლაში. ამხ. ტოროშელიძის მასალებში ნათქვამია, რომ რევოლიუციის დასაწყისში **კონსტან. გამსახურდია** თავის ჟურნალ „ილიონში“ წერდა „როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება (იგულისხმება პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება საქართველოში), იგი იკრებს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს მუშაობის გასაძლიერებლად კულტურის ფრონტზე. დღეს ჩვენ უნდა გავაჩაღოთ მუშაობა საქართველოში და გამოვაცხადოთ საალყო წესები ჩვენი კულტურის გაბატონებისათვის“. ასეთივე მოვლენებს ვხედავთ უკრაინის ლიტერატურის განვითარების პროცესში, როცა პროლეტარული დიქტატურისაგან დამარცხებული ნაციონალისტები, უცხოეთის იმპერიალისტების აგენტები ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ლიტერატურა და კულტურა. უკრაინელი პოეტი ფაშისტი ემიგრანტი **მალანიუკი** დაახლოებით ამავე აზრს გამოსთქვამდა: „როცა ერს არ ყავს ბელადები, ბელადებად პოეტები ხდებიან“. დღეს მალანიუკისაგან გამსახურდია განსხვავდება იმით, რომ გამსახურდია ბოლოს მაინც გადავიდა საბჭოთა პოზიციებზე. შემდეგ მომხსენებელს გაჰყავს რამდენიმე საინტერესო პარალელი საქართველოს ცალკე მწერლების გზებს შორის და დაასკვნის, რომ ყველა ხალხის ლიტერატურაში ვამჩნევთ საერთო, ერთი მეორის მზგავს პროცესებს, მაგრამ ყოველი ლიტერატურა ამავე დროს ინარჩუნებს თავისებურებას თავის განვითარებაში. უკრაინის ლიტერატურა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურაზე უფრო იყო უმწვავესი კლასობრივი ბრძოლის ობიექტი. უკრაინელი ნაციონალისტები მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ლიტერატურის განვითარების ბედი. და ის დიდი მიხწევები, რომლითაც საბჭოთა მწერლობა შეხვდა თავის პირველ ყრილობას, მოპოებულ იქნა სასტიკი ბრძოლით ამ ელემენტებთან, იმ კონტრრევოლუციურ ძალებთან, რომლებიც ლამობდენ უკრაინულ მხატვრული ლიტერატურის განვითარება აეცდინათ პარტიისაგან ნაჩვენებ გზისათვის და დაეყენებიათ იგი ამ დიდმპყრობელურ ან ადგილობრივ ნაციონალ-შოვინიზმის გზაზე, მაგრამ ნაციონალისტები, პარტიის დახმარებით, ლიტერატურის ფრონტზედაც ისე დამარცხდენ და განადგურებული იქნენ, როგორც სოციალისტური მშენებლობის სხვა უბნებზე.

დღეს უკრაინის საბჭოთა ლიტერატურა იწყებს ახალ პერიოდს, შედის რა საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირში დიდი კონკრეტული მიღწევებით. პირველი ამ მიღწევათაგანი არის ის, რომ უკრაინული მხატვრული პროზის თემატიკა გახდა აქტუალური. იგი შეიქნა გაცილებით უფრო აქტიური და პასუხის მიმცემი მიმდინარე ცხოვრების, სოციალისტური მშენებლობის მოვლენებზე. ადამიანის გარდაქმნის პრობლემა, გუშინდელ ნაძირალიდან—სოციალიზმის დღევანდელ მშენებლად გარდაქმნა მოცემულია **მიკიტენკოს** ახალ რომან „რანოკ“-ში. კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები სოფლად, საკოლმეურნეო მშენებლობის ახალი ეტაპი. ასახა ი. კრილენკომ თავის „ავანპოსტებში“. **კოპილენკოს** ნაწარმოები „ნაროდჟეტსია მისტო“ წარმოადგენს უპარტიო მწერლის იდეური ზრდის მაჩვენებელს თუნდაც იმიტომ, რომ მასში სწორად არის გადმოცემული წვრილ ბურჟუაზიული ყოფაცხოვრების ტყვეობიდან საბჭოთა ქალის განთავისუფლების პროცესი. **გ. კოციუბუს** ნაწარმოებნი „ნოვი ბერეგი“, „როდიუ ჩისტ“ მხატვრულად აშუქებს მოსავლის გადიდების პრობლემებს. **პ. პანჩის** უკანასკნელი ნაწარმოები „უფლება სიკვდილზე“ და **ა. გოლოვკოს** „დედა“ წარმოადგენენ დიდ განძს უკრაინის ახალ ლიტერატურაში. თუ რამდენად წინ წავიდა უკრაინის საბჭოთა დრამატურგია, ამას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ სრულიად საკავშირო კონკურსში ჯილდო მიიღო ორმა უკრაინელმა დრამატურგმა: „ესკადრის დაღუპვის“ ავტორმა **კორნეჩიუკმა** და „მესაათე და ქათამის ავტორმა **ი. კოჩერგამ.**

უკრაინის საბჭოთა პოეზიაში განსაკუთრებით დიდ ადგილს იჭერს ახალგაზრდობა, რომელიც იძლევა მომწიფებულ და სავსებით დამთავრებულ პოეტებს. (მაგ. ლ. პერვომაისკი და სხვები). რაც შეეხება ძველი თაობის პოეტებს, მათაც ემჩნევათ გააქტიურება და იდეური გადახალისება. მაგალითად თემატიკის მხრით უდავო მიღწევები აქვს უკრაინის პოეტური სიტყვის და სახის ოსტატს **პაოლო ტიჩინას.** ოდესღაც ტიჩინა ერთ თავის ნაწარმოებში წერდა: აჯანყებულები წინ მიდიან, მას უკან მიჩანჩალობენ კომუნისტებიო, ახლა კი თავის ნაწარმოებში „პარტია ვედე“ იგი გვიჩვენებს, რომ პარტია წინ უძღვის, ხოლო მას უკან მიჰყვებიან მასები უეჭველია, ეს არის ტიჩინას გამარჯვება თავის ძველ შეცდომებზე. იგივე უნდა ითქვას პოეტ **მ. რილსკზე,** რომელიც დღეს ახალ თემებზე წერს. სხვებთან შედარებით უფრო ნელი ნაბიჯით უახლოვდება ახალ თემატიკას. პოეტი **მ. ბაჟანი,** რომლის შემოქმედებას დიდ-

ბელორუსიის ლიტერატურა

ამხ. კლიმკოვიჩის მოხსენება

ოქტომბრის რევოლიუციამდე ბელორუს მწერალთა რიცხვი ათს არ აღემატებოდა. მათ შორის იყვნენ ისეთი შავრაზმელები, როგორც ბატონყმობის მეხოტბე **დუნინ მარცინკევიჩი,** ახლად ჩასახული ნაციონალური ბურჟუაზიის მედროშე **ბოგუშევიჩი,** მწერალი **გარუნი,** რომელიც შემდეგ ბულატ-ბალა-ხოვიჩის კონტრრევოლუციურ ბანაკს მიემხრო.

ბელორუსიის საუკეთესო ძველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებში მოსთქვამდენ ბელორუს გლეხის მწარე ხვედრზე, მემამულეთა მიერ მათ ექსპლოატაციაზე, აგვიწერდენ მეფის ჩინოვნიკების თავგასულობას. ბელორუსიის ერთ ერთი საუკეთესო პოეტი მწერალი **იანკა კუპალა,** რომელიც შემდეგ საბჭოთა მწერლების რიგებში ჩადგა, თავის შესანიშნავ პოემაში „მდინარე ოდესის ნაპირებზე“ ბელორუსიის მთელ წარსულს უაღრესად შავი საღებავებით გვიხატავს.

ამხ. კლიმკოვიჩი ვრცლად ჩერდება პროლეტარულ რევოლიუციის დროს წარმოშობილ ახალ ლიტერატურის ძალების ბრძოლაზე ბელორუსიის მწერლობაში დამკვიდრებულ ნაციონალისტურ ელემენტებთან. ნაციონალისტური ლიტერატურა ენას ტვირთავდა არქაიზმებით, პოლონიზმებით და დაუნდობლად აძევებდა რევოლიუციისაგან მოტანილ და რუსული ენის მონათესავე სიტყვებს. „სოციალისტური“ ნაციონალისტური ბრძოლის გატაცებული ნაციონალისტები სიტყვა „პროლეტარიატს“ თარგმნიდენ „გალატა“-დ. სიტყვა „დიალექტიკას“ „პუსტოსლოვიე“-დ, სიტყვა ბარიკატებს — „ზაგოროდკი“ და ა. შ. წარმოიდგინეთ, სიტყვა ბელორუსიც კი, ნაწილაკ „რუს“-ის გამო, ნაციონალისტებმა შესცვალეს სიტყვა „კრიეიჩ“-ით.

ბელორუსიის ლიტერატურა ამ ყრილობაზე მოვიდა, როგორც სრულიად საკავშირო ლიტერატურის ერთ ერთი რაზმი. ძველ მწერლებს შორის ჩატარებულმა დიდმა ამღზრდელობითმა მუშაობამ ხელი შეუწყო ნაციონალისტების ბანაკისგან მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების — **კუპალას, კოლასის, ბიანდულის, გარტნის, ზარეცკის** და სხვ. ჩამოშორებას და მათ გადასვლას სოციალისტური მშენებლობის პოზიციებზე.

— ჩვენ მოვიპოვეთ მნიშვნელოვანი გამარჯვებანი, — ამბობს ამხ. კლიმკოვიჩი, — ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის წყალობით. ჩვენი შემდგომი ამოცანაა — დავეუფლოთ ოსტატობას, უდიდესი სიყვარულით და ენტუზიაზმით შეექმნათ ცხოვრების სიმართლით გამსჭვალული ნაწარმოები სოციალისტურ მშენებლობის, ჩვენი სამშობლოს გმირობის, ჩვენი ლენინური პარტიის შესახებ.

ქართული ლიტერატურა

ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება

20 აგვისტოს დილის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მიხ. ჯავახიშვილი, დაიწყო ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენებით ქართულ მწერლობაზე. მოხსენება დიდი გულისყურით იქნა მოსმენილი და მოექცა მთელი



მ. ტოროშელიძე

ყრილობის ყურადღების ცენტრში. საკ. ცაკის ორგანომ გაზ. **„იზვესტიამ“** ასე შეაფასა ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება:

„განსაკუთრებით საინტერესო იყო ქართული ლიტერატურის შესახებ ამხ. ტოროშელიძის მოხსენება, რომელმაც მოგვცა ისტორიისა და თანადროულობის, სოციოლოგიური ანალიზისა და ესთეტიური ანალიზის საუცხოო შეხამება, რომელმაც მოგვცა საქართველოს ცხოვრებისა და ამ ცხოვრების ლიტერატურულ ასახვისა და გამოხატვის სურათი.

ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში, ბროშურად დაბეჭდილი ეგზავნებათ ჩვენი გაზეთის ხელისმომწერლებს ამ №-თან ერთად.

არა ხელის მომწერთათვის ბროშურა ღირს ერთი მანეთი.

აზერბეიჯანის ლიტერატურა

ამხ. ალეკპერლის მოხსენება

მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში ამხ. ალეკპერლიმ ყრილობას გააცნო აზერბეიჯანის მწერლობის მძიმე გზა, რომელიც მან გაიარა ნაციონალისტურ მუსავატურ „აზერბეიჯანის ლიტერატურულ საზოგადოებიდან“ — რეაქციის და კონტრრევოლიუციის ამ კერიდან — პროლეტარული მწერლების ასოციაციამდე.

ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლაში წინ წამოიწიენ ნიჭიერი საბჭოთა მწერლები: **ს. რუსტემი, ნაზარლი.** სწრაფად იზრდება მწერალთა ახალი კადრი. ამჟამად აზერბეიჯანის ორგანიზაციას ყავს სამოცამდე მწერალი. ძველი მწერლები თანდათან სტოვებენ ძველ შემცდარ პოზიციებს. ასე მაგალითად წინად პანისლამისტი, პანთურქმისტი, დრამატურგი **ჯაფარ-ჯაბარლი** ეხლა უკვე ნამდვილი საბჭოთა მწერალი გახდა.

ამხ. **ალეკპერლი** აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა მეწერლების შემდგომ განვითარებაზე, უეჭველია, ნაყოფიერ გავლენას იქონიებს აზერბაიჯანის ახლახან დამთავრებული საბჭოთა მწერლების ყრილობა.

სომხური ლიტერატურა

ამხ. სიმონიანის მოხსენება

სომხეთის ლიტერატურა აღმოსავლეთის ერთ ერთი უძველესი ლიტერატურაა, რომელიც ვითარდებოდა სპარსული და არაბული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ზეგავლენის ქვეშ.

მე-17 საუკუნეში სომხეთი გადაიქცა სამხედრო შეტაკებების ასპარეზად. მისი მწერლობა დაეცა. ინტელექტუალურმა ძალებმა მიატოვეს გაპარტახებული ქვეყანა. სომხური მწერლობა ამ პერიოდში ცოცხლობს მხოლოდ უცხოეთის კოლონიებში. ქვეყნის შიგნით კი მხატვრული სიტყვის მოყვარულნი ხელს ჰკიდებენ ძველი ხელთნაწერების გადაწერას. მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში სომხური ლიტერატურა ვითარდება რუსული ლიტერატურის დიდი ზეგავლენით. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დემოკრატიული მიმდინარეობა ლიტერატურაში. რევოლიუციის წინადროინდელ პოეტებიდან მომხსენებელი ეხება სახალხო პოეტის **აკოპ აკოპიანის** და პოეტი ქალის **შუშანიკ კურგინიანის** შემოქმედებას.

საბჭოთა მწერლობის დასაწყისად სომხეთში შეიძლება ჩაითვალოს „სამის დეკლარაცია“, რომელიც 1922 წელს გამოაქვეყნა პოეტებმა **ეგიშე ჩარენცმა, აზატ ვეშტუნიმ და გაბორგ აბოვმა.** „სამის დეკლარაციამ“ გამოაცხადა სომხური ლიტერატურის ახალი ერა და პოეზიას მოუწოდა გამოსულიყო ქუჩებზე, შეჭრილიყო მასებში. მან ბრძოლა გამოუცხადა ძველ სომხურ ლიტერატურას, რომელიც ბურჟუაზიისა და ნაციონალისტების სოციალურ დაკვეთას ასრულებდა.



სიმონიანი

რევოლიუციის პირველ წლებში სომეხი პოეტები და მწერლები ასახავდენ მეტ წილად ზოგად რევოლიუციურ ტემებს. მათი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იყო კოსმიზმი. უკანასკნელ წლებში თემატიკა გახდა უფრო კონკრეტული და მწერლობაც ასახავს სომხეთის ხალხის მატერიალური და შემოქმედებითი ძალების აღორძინებას. სომეხი მწერლების ორგანიზაცია თავის ხალხს აცნობს მოძმე ერების მხატვრულ ლიტერატურას: სომხურ ენაზე ითარგმნება ქართული, თურქული, რუსული, უკრაინული ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუში.

— სომხურ ლიტერატურას, — ამთავრებს თავის შინაარსიან მოხსენებას ამხ. **სიმონიანი,** — ისე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ლიტერატურას, აქვს ბევრი ნაკლი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობა მოგვცემს ძლიერ სტიმულს ვიბრძოლოთ ახალი იდეოლოგიური და მხატვრული მწვერვალებისათვის, განვამტკიცოთ ახლად წარმოშობილი შემოქმედებითი ძალები, და მაშინ ჩვენ შევქმნით ისეთ მხატვრულ ტილოებს, რომლებიც სავსებით შესატყვისი იქნებიან ჩვენი დიდი ეპოქის და ღირსი ჩვენი ქვეყნის გმირების.

მწერალთა საკავშირო ყრილობის დასასრული

1 სექტემბერს ს. ს. რ. კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ — სარედაქციო კომისიის არჩევნების შემდეგ, საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა დაიხურა. 2 სექტემბერს შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი.

ს. ს. რ. კ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის შემადგენლობა

1. ა. მ. გორკი. 2. ს. აინი (ტაჯიკისტანი) 3, ა. ნ. აფინეგენოვი. 4. ნ. ნ. ასეევი. 5. ა. ალექსანდროვიჩი (ბელორუსია). 6. ალაზანი (სომხეთი) 7. მ. კ. ალექპერლი (აზერბეიჯანი). 8. ბ. ლ. ასტემიროვი (დაღესტანი). 9. აკობ აკოპიანი (ამიერ-კავკასია). 10. ა. ი. აროსევი. 11. რ. ბახმატიევი. 12. ბაბი (პოვოლოჟიის გერმანელთა რესპუბლიკა). 13. ა. ბეზიმენსკი. 14. ა. ბოლოტნიკოვი. 15. ბეგიმოვი (კარა-კარპაკია). 16. ბილ-ბელოცერკოვსკი 17. ვ. ვ. ვერესაევი. 18. ვს. ვიშნევსკი. 19. ვირტანენი (ქარელია). 20. ს. ვურგუნი (აზერბეიჯანი). 21. თ. ვ. გლადკოვი. 22. კ. გორბუნოვი. 23 ა. გორელოვი. 24. ვ. გერასიმოვი. 25. მ. ს. ჯავახიშვილი (საქართველო). 26. დ. დეაბარლი (აზერბეიჯანი). 27. დემიან ბედნი. 28. ჯანსუგუროვი (კაზაკსტანი). 29. ზოლოტოვი (ჩუვაშია). 30. მიხ. ზოშჩენკო. 31. ვ. ვ. ივანოვი. 32. ვ. იტინი (დასავლეთი ციმბირი). 33. ბ. ილეში. 34. ვ. ი. კირპოტინი. 35. ვ მ. კირშონი, 36. კლიმკოვიჩი (ბელორუსია). 37. ი. ი. კულიკი (უკრაინა). 38. ლ. ბ. კამენევი. 39. ი. ი. კატაევი. 40. ა. ს. კარავაევა 41. მ. ე. კოლცოვი. 42. ი. უ. კირილენკო (უკრაინა). 43. ა. ი. კოპილენკო 44. ი. კუპალა (ბოლორუსია). 45. კოლასი (ბელორუსია) 46. გ. ლაბუტი. 47. ლ. მალეონოვი. 48. ი. ლე (უკრაინა). 49. ი. კ. ლუპოლი. 50. ი. კ. მიკიტენკო (უკრაინა). 51. რ. მადჟიდი (უზბეკისტანი). 52. ა. გ. მალიშკინი. 53. ს. მარშაკი. 54. ი. ს. ნოვიკოვი-პრიბოი. 55. ნ. ნ. ნაკორიაკოვი 56. ნადირი (თათართა რესპუბლიკა). 57. ოიუნსკი (იაკუტია). 58. თ. ი. პანფეროვი. 59. პ. პანჩი (უკრაინა). 60. პ. ა. პავლენკო. 61. ბ. ა. პლინიაკი 62. ბ. ლ. პასტერნაკი. 63. ნ. თ. პოგოდინი. 64. მ. მ. პრიშვინი. 65. ვ. პ. სტავსკი. 66. ლ. ნ. სეიფულინა. 67. დ. ა. სიმონიანი (სომხეთი). 68. ა. ს. სერაფიმოვიჩი. 69 მ. ლ. სლონიმსკი. 70. ლ. მ. სუფოწკი. 71. ლ. სობოლევი. 72 ს. სემიონოვი. 73. სეიფულინი (კაზაკსტანი). 74. ტინიანოვი 75. ნ. ტიხონოვი. 76 ა. ნ. ტოლსტოი. 77. მ. ბ. ტოროშელიძე (საქართველო). 78. ო. ტაშ-ნაზაროვი (თურქმენი) 79. კ. ა. ტრენევი. 80. პ. გ. ტიჩინა. 81. აფზალ ტაგიროვი (ბაშკირეთი). 82. ა. ტოკომბაევი (ყირგიზეთი). 83. ა. ა. ფადეევი. 84. კ. ა. ფედინი. 85. ი. ს. ფეფერი (უკრაინა) 86. ი. დ. ხარიკი (ბელორუსია). 87. ხ. ნ. ჩარიევი (თურქმენისტანი). 88. ა. პ. ჩაპიგი. 89. მიხ. შოლოხოვი. 90. მ. ს. შაგინიანი. 91 შირაბონი (ბურიათ-მონღოლეთი). 92. ა. შირვან-ზადე (სომხეთი). 93. ა. ს. შჩერბაკოვი. 94 ი. გ. ერენბურგი. 95. რ. პ. მიდემანი 96. ო. ერდბერგი (შორეულ აღმოსავლეთის მხარე). 97 ს. ეფული (საქართველო). 98. პ. ფ. იუდინი. 99. (გამოტოვებულია). 100. იაშენი (უსტეგისტანი). 101. პ. იაშვილი (საქართველო).

სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

1. აისხანოვი (ჩეჩნეთი) 2. ფ. ბეგეზოვსკი. 3. ი. ე. ბაბელი. 4. პ. ბესპაშჩადნი (დონბასი). 5. ა. გაირატი (უზბეგისტანი). 6. მ. გოლდბერგი (აღმოსავლეთი ციმბირი). 7. ირგატ კადირი (ყირიმი) 8. კორეანოვა (ურალი) 9. ლ. კასილი. 10. ვ. კატაევი. 11. ნ. კოჩინი (ფორკი) 12. ი. ლიბედინსკი. 13. ლაიცენი (ლატვია). 14. მარკიშ პერეცი. 15. ლ. ნიკულინი. 16. ი. ოლეშა. 17. ლ. ს. 18. ოლღა ფორში. 19. ჩანბა (აფხაზეთი). 20. ჩუბარი (აზერბეიჯანი).

უზბეკისტანის ლიტერატურა

ამხ. მაჯიდის მოხსენება

უზბეკისტანის საბჭოთა ლიტერატურის კადრს შეადგენენ: **გაირატი, შამსი, უიგუნი** და სხვ. — პოეზიაში, **სადრეტდინ აინი, გაფრუ გულიამი, აბდულა ჯაკური, საბიროვი** და სხვ. პროზაში; **ზია საიდოვი, იაშინი, აბდულა ჯაკური** და სხვ. დრამატურგიაში. დღითი დღე იზრდებიან და მტკიცდებიან ეს კადრები. სოციალისტური მშენებლობა თავისი წარმატებით მოქმედობს მწერალთა ძველ თაობაზე, მრავალმა მათგანმა ხელი მოკიდა საბჭოთა თემატიკის დამუშავებას. ნაციონალისტური მწერლები ჰკარგავენ თავიანთ პოზიციებს.

როგორც ყველგან, ისე უზბეკისტანში ლიტერატურულ მოძრაობაზე ცხოველმყოფელი გავლენა იქონია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილებამ. ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, სალიტერატურო ორგანიზაციები წარმოიშვენ ისეთ შორეულ რაიონებში, როგორიც არის ხორეზმი, სურხანდარია, კაშკა-დარია. ამ რაიონებიდან სრულიად საკავშირო ყრილობას წარუდგენ მწერლები საკუთარი ლიტერატურული პროდუქციით.

— ჩვენი ორგანიზაცია, — ამბობს ამხ. **მაჯიდი,** — აერთიანებს დაახლოებით სამას მწერალს. გადიდდა ლიტწრეების რიცხვი ფაბრიკებსა და ქარხნებში, იზრდება მასიური ლიტერატურული მოძრაობა. ძველი მწერლები, რომლებიც ლიტერატურას ჩამოშორდენ „უზაპის“ დროს გამეფებულ ჯგუფობრივობისა და ადმინისტრატორობის გამო, ამჟამად ისევ დაუბრუნდენ ლიტერატურას და აქტიურად მუშაობენ. უზბეკი მწერლების ძირითად თემატიკას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობა.

თათარსტანის ლიტერატურა

ამხ. ნაჯიმის მოხსენება

თვითმპყრობელური რუსეთის სულის შემხუთველ ატმოსფეროში ჭკნებოდა თათართა ნაციონალურ ლიტერატურის ნორჩი ყლორტები. სული ეხუთებოდათ დიდ მომაგრებულ ნიჭიერ მწერლებსაც (**გ. ტუგაი, გათური, შ. კამალი**).

სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც თათარისტანის მშრომელი მასები იბრძოდენ ინტერვენტების წინააღმდეგ, კულტურული ფრონტი წარმოადგენდა მოხერხებულ ხვრელს ნაციონალისტური თათრული ბურჟუაზიის იდეოლოგებისათვის. მათი შემოქმედების საფუძველი იმ ხანებში იყო იდეალისტური რომანტიზმი, კაპიტალისტური აღორძინების იდეის, თათარისტანის ხალხის „თვითმყობადობის“ იდეის პროპაგანდა.

აღდგენითი პერიოდის დროსაც კი თათარ მწერალთა ნაწარმოებში საგრძნობი, იყო ნაციონალისტური იდეები. მაგრამ ამ დროს უკვე იწერება ნაწარმოებნი ახალი იდეური შინაარსით. მოთხრობებით სამოქალაქო ომის შესახებ სამწერლო ასპარეზზე გამოდის **შ. უსმანოვი,** ლექსებს და პოემებს აქვეყნებენ **ფ. ბურნაში, მ. გაფური და სხვ.**

რეკონსტრუქტიულ პერიოდს თათარსტანის ლიტერატურისათვის მოაქვს დიდი იდეურ-მხატვრული ზრდა, სოციალისტური სინამდვილის ღრმა ასახვა, თემატიკის მრავალფეროვნება. იზრდებიან ახალგაზრდა ტალანტები მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან.

მომხსენებელი მხატვრული ენით იძლევა თათარ მწერალთა შემოქმედებით პორტრეტებს, რომელთაგან თვალსაჩინოა **გალიმ ეგრაჰიმოვი,** პოეტი შესანიშნავი ენის სისადავით და მკაფიო თხრობით. მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს შორის ყველაზე მეტი წარმატება ხვდა ტრილოგიას „ჩვენი დღეები“ და მოთხრობას „ღრმა ფესვები“, პოპულარულია მწერალი **ტულუმბაისკიც,** რომელმაც დაგვიხატა თათრული სოფელი რევოლიუციის და სოციალისტური მშენებლობის სხვა და სხვა ეტაპზე. **მირსაი ამიროვი** ღრმად შესწავლის საფუძველზე იძლევა წითელი არმიის ცხოვრებას. ახალგაზრდა მწერლის **გაზიევის** მოთხრობებში ასახულია მუშა ახალგაზრდობის ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმებისათვის, ტექნიკის დაუფლებისათვის.

თათარისტანის საბჭოთა ლიტერატურის პროლეტარულ ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში, — ამთავრებს თავის საინტერესო მოხსენებას ამხ. ნაჯიმი, დიდად დაეხმარა რუსეთის საბჭოთა მწერლობა, პირველ რიგში შემოქმედება **ა. მ. გორკის,** რომელიც ყველა თათარი საბჭოთა მწერლის საუკეთესო მასწავლებელი და მეგობარია.

თურქმენისტანის ლიტერატურა

ამხ. ტაშ-ნაზაროვის მოხსენება

ახალგაზრდა თურქმენული ლიტერატურის საწყისებს წარმოადგენს რევოლიუციის შემდეგდროინდელი მასიური მხატვრული შემოქმედება, რომელიც ასახავს ჩვენს მხარეში მომხდარ დიდ სოციალურ და კულტურულ ძვრებს. ოქტომბრის შემდგომი ხალხური ლექსი გამსჭვალულია მხნეობითა და სიხარულით. ასეთივე სიცოცხლისა და სიხარულის გრძნობებს გადმოგვცემენ ახალგაზრდა თურქმენი საბჭოთა მწერლების — **ამან კიკილოვის** პოემა „ჩემი წარსული დღეები“, **ატანდაზოვის** ლექსები და სხვ.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების შემოქმედებაზე ძლიერი ნაციონალისტური ზეგავლენა იქონიეს ძველი თურქმენულ მწერლობის წარმომადგენლებმა, — პოეტებმა **მახტუმ კულიმ, ზელილმა.** რევოლიუციის პირველ წლებში თურქმენისტანის კულტურულ დაწესებულებებში მოკალათებულმა ნაციონალისტურმა ელემენტებმა ცდილეს აღეზარდათ ახალგაზრდა სამწერლო კადრები უცხო იდეოლოგიით გამსჭვალულ ძველ ლიტერატურაზე.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა რამდენიმე მაღალ ხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც გვიჩვენებენ ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების შემოქმედებით ზრდას. მწერალთა რიგები ივსება ლიტერატურული ახალგაზრდობის აქტივით, რომელიც მოდის საწარმოებიდან, კოლმეურნეობიდან, უმაღლეს სასწავლებლებიდან, — ფართოვდება თურქმენი პოეტების შემოქმედების თემატიკა.

ტაჯიკისტანის ლიტერატურა

ამხ. ლახუტის მოხსენება

— რევოლიუციამ დაგვანახა, — ამბობს ამხ. ლახუტი, — რომ ტაჯიკების „მკვდარი ერი“ არა თუ არსებობს, არამედ პოლიტიკურად ჩამოყალიბებულ ორგანიზმს წარმოადგენს და აქვს ყოველგვარი შესაძლებლობა კულტურული განვითარებისათვის. მივიწყებულ და ჩაგრულ კუთხიდან ტაჯიკისტანი ხდება სოციალიზმის მშენებელ რესპუბლიკად, განვითარებული მრეწველობის, კოლექტივიზირებული სოფლის მეურნეობის, ახალი გზატკეცილების ქვეყნად.

რევოლიუციამდე წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი ტაჯიკისტანში ნახევარ პროცენტს არ აღემატებოდა და ისინიც მეტწილად სამღვდელოების და ჩინოვნიკების წრეს ეკუთვნოდენ. ძველი ტაჯიკური სოფლისათვის უბრალო წერილის სადმე გაგზავნა უდიდესი ამბავი იყო; სწერდა მას მოლა, სხვადასხვა უხვი საჩუქრებით მომადლიერებული, განცვიფრებული გლეხებით გარშემორტყმული. 1933 წელს კი ტაჯიკისტანის ფოსტით გაიგზავნა 19 მილიონი წერილი. მაგრამ ამჟამად ტაჯიკისტანში სწერენ არა მარტო წერილებს. უკვე წარმოიშვენ კოლმეურნე პოეტები, კომკავშირელი პოეტები. იქმნება ახალი საბჭოთა ფოლკლორი. თუ წინად ხალხი ჰქმნიდა შაირებს იმის შესახებ, თუ რამდენი აქლემი და სახედარია საჭირო საცოლოს საყიდლად, ეხლა კოლმეურნე პოეტი თავის სატრფოს ეუბნება, რომ მას სურს მოხვდეს იმ ბრიგადაში, სადაც იგი (სატრფო) მუშაობს, დღეს ეს პოეტი ამაყობს იმით, რომ იგი მშრომელია, რომ თავისი ქვეყნის გმირია. ტაჯიკისტანში მიმდინარეობს გაცხოველებული ლიტერატურული ცხოვრება, ახლად დამთავრებულ კონკურსზე პრემია მიიღო ხუთმა ავტორმა.

რუსთაველის შესწავლისათვის

(საკითხის დასმის წესით)

საქ. კ. პ. (ბ.) ცეკას დადგენილება რუსთველის დაბადებიდან 750 წ. იუბილეს გამართვისა და „ვეფხის ტყაოსნის“ პოპულარიზაციის შესახებ — ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. ეს დადგენილება ფართო პერსპექტივებს შლის არა მარტო გენიალური პოეტის ქმნილების მშრომელთა მასებ'ა და უცხოეთში გატანის მხრით, არამედ ფართო სარბიელს უქმნის ამ ძეგლის სისტემატიურ მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც.

ქართული ლიტერატურის ევოლუცია მიმდინარეობდა „ვეფხის-ტყაოსნის“ უშუალო ზეგავლენის ქვეშ. ამიტომაც მისი შესწავლა მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხსაც აყენებს.

დადგენილება ვეფხის ტყაოსნის შესწავლისათვის მთელ რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. ამჟამად ჩვენ დადგენილების შემდეგი მუხლები გვაინტერესებს: 1. ტფილისის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტთან დაარსებული უნდა იქნას შოთა რუსთველის კათედრა, 2. ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტში მოეწყოს ა) რუსთველის შემსწავლელი სექცია და ბ) რუსთველის მუზეუმი.

ვისთვისაც ძვირფასია ძველი ქართული ლიტერატურა და რუსთველის თხზულება, ვინც უშუალოდ არის დაინტერესებული „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლით, მას დადგენილების ზემოდ მოყვანილი მუხლები ხელსაყრელ პირობებს უქმნის მეცნიერული კვლევის საწარმოებლად, ეს საქმე არ არის პერსონალურად ერთი ან ორი პირის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ რუსთველს რამდენიმე კულტურული მკვლევარი და ბევრი უბადრუკი „შემსწავლელი“ აღმოუჩნდა.

ამ მოკლე წერილში აღვნიშნავთ იმ ამოცანებს, რომელნიც ბუნებრივად გამომდინარეობენ დადგენილების იმ მუხლებიდან, სადაც „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლისათვის დასახული ღონისძიებებია ჩამოთვლილი.

რა ამოცანებს უნდა ისახავდეს რუსთველის კათედრა?

კათედრის ამოცანები ვრცელი და დიდია. სპეციალური ციკლი ლექციებისა თემებზე — რუსთველის ბიოგრაფიული ძიებანი, ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია, მისი ანალიზი, „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტი და ინტერპოლაციები, „ვეფხის-ტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი და აღმოსავლეთის პოეზია, ვეფხის-ტყაოსნის ეპოქა, „ვეფხის-ტყ-ი“ და ქართული ლიტერატურა (ზოგადი და კერძო პარალელები), რუსთველის მსოფლ-მხედველობა, ვეფხის-ტყაოსნის“ სოციალოგია, „ვეფხის-ტყაოსნის პოეტიკა (რიტმი, რითმა, მეტაფორა, სახე, სიუჟეტი), ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფია, ენა და მრ. სხ. — უნდა იკითხებოდეს სპეციალურად შერჩეული ლექტორების მიერ.

ჩვენის აზრით, რუსთველის კათედრის პირდაპირ დანიშნულებას ვეფხის-ტყაოსნის მომავალი მკვლევარებისა და ქართული კლასიკური პოეზიის მომზადებული მკითხველების აღზრდა წარმოადგენს.

რუსთველის შემსწავლელი სექცია, რომელიც ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტთან უნდა ჩამოყალიბდეს, თავის მიზნად უფრო ლაბორატორულ-კვლევითი მუშაობას უნდა ისახავდეს.

ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება რუსთველის თხზულების მთლიანად გამოცემული ვარიანტები გვიანი დროის დანართებით; არა გვაქვს ხელნაწერების ვრცელი და ამომწურავი აღწერილობა; გამოუცემელია ძველი ილუსტრაციები პოემისა (საინტერესო თემაა: ილუსტრატორების ვინაობა, მხატვრის კონცეპცია პოემის ტექსტის გაგებაში და სხ); დაუმუშავებელია ის საკითხები, რომელიც ლექციების ციკლის სახით უნდა იკითხებოდეს ფაკულტეტზე. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს იმ მიღწევების დაუფასებლობას, რომელიც რუსთველოლოგიას გააჩნია.

სექციას უნდა ექნეს საკუთარი ორგანო „რუსთველის ბიულეტენი“-სა თუ „რუსთველოლოგიური შტუდიები“-ს სახელწოდებით, დაახლოებით იმ სახისა როგორიც იცემა უცხოეთში („ფილოსოფიური შტუდიები“, „გოეთეს კრებული“, „გოეთეს კალენდარი“ და სხ.). ყოველ წლიურად თითო ტომის გამოცემა აუცილებელია.

ამ ორგანოს დაარსება „რუსთველის შემსწავლელ სექციის“ ერთერთ ცენტრალურ საქმედ უნდა იქცეს.

ჩვენს ჩამორჩენილობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ დღემდე არ მოგვეპოვება მსგავსი შრომების სერია. თუნდაც რუსეთის მაგალითი ამ მხრით ბევრს ამბობს. იქ გამოცემულია ტომები პუშკინზე („პუშკინსკი სბორნიკ“, „პუშკინ ი სოვრემენნიკი“ და მრ. სხ.), მთელი სერიები გამოკვლევებისა ლომონოვსოვზე და ა. შ. ჩვენში კი დღემდე არ გამოცემულა ერთი კრებულიც კი ისეთ პოეტზე, როგორიც შოთა რუსთაველია. „ცეკას დადგენილება ამ მხრით ბევრს რასმე აკისრებს ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მომავალ „რუსთველის შემსწავლელ სექციას“ და მან უახლოვეს ხანში უნდა უპასუხოს პარტიის მიერ დასახულ ამოცანას.

რუსთველის მუზეუმის მოვალეობაც საკმაოდ დიდია. არ შეიძლება დაკმაყოფილება მარტოოდენ ხელნაწერების შეგროვებით თუ ბეჭდვითი გამოცემების შეკრებით. მუზეუმმა უნდა გააფართოოს თავისი მიზნები და რუსთველის პოემის მკვლევარს უნდა შეეძლოს ამ მუზეუმში სარგებლობა უდიდესი პოეტის ეპოქის მსოფლიო ლიტერატურით. აუცილებელია რუსთველის ბიბლიოთეკის შექმნა.

აი, ძალიან მოკლედ იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სდგანან რუსთველის კათედრისა, ვეფხის-ტყაოსნის შემსწავლელ სექციისა და მუზეუმის წინაშე.

აკ. გაწერელია

ქართული საგეჭდი შრიფტის საქმე

საბჭოთა საქართველოს მთავრობის დადგენილების (1933 წ. 31 აგვისტო) პედაგოგიკისა და პედოლოგიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტთან მოეწყო შრიფტის კაბინეტი, სადაც მოწვეული არიან სამუშაოდ და საკონსულტაციოდ ლინგვისტები, მხატვრები, კალიგრაფები, ოკულისტები და პოლიგრაფისტები.

არსებული ქართული საბეჭდი შრიფტის თავის დროზე გადახალისება-გაუმჯობესებას დღემდე უმთავრესად ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა პუნსონების მოჭრა. პირველ ხანებში დახატულ ასოებს გზავნიდენ გერმანიაში და ბოლოს მოსკოვში. მოსკოვის ქარხანა კი მუდამ ისე დადატვირთულია შეკვეთებით, რომ ტფილისის დაკვეთებს წლობით აგვიანდებოდა. მაგრამ ამდენ ხანს მაინც არ გაჭიანურდებოდა ეს საქმე, რომ მას სათანადო პასუხისმგებლობით მოპყრობოდა „სახელგამი“ და „პოლიგრაფტრესტი“, რომელთა პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენდა ბეჭდური შრიფტის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამ ორგანიზაციებმა, არამც თუ არავითარი ინიციატივა არ გამოიჩინეს ამ მხრივ, სხვების ინიციატივასაც არ შეუწყვეს ხელი. სახელგამის ხელმძღვანელობა დღესაც გასაოცარ დაუდევრობას იჩენს და არ ასრულებს მთავრობის დადგენილებას, რომლის ძალითაც მას დაკისრებული ჰქონდა განსაზღვრული თანხის გაღება შრიფტის რეფორმის ხარჯებისათვის. აგერ წელიწადი თავდება და ჯერ კაპიკიც არ გადმოურიცხავს ამ საქმისათვის.

მთავრობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასწრაფო წესით იწარმოოს მუშაობამ შრიფტის გაუმჯობესებაზე. და შრიფტის კაბინეტიც იმ თავითვე ენერგიულად შეუდგა საქმეს. პირველი ნაბიჯი იქითკენ იყო მიმართული, რომ თავიდან აგვეშორებია მთავარი დაბრკოლება — შეგვეძინა პუნსონის საჭრელი მანქანა. ამ მიზნით გამოწერილ იქნა გერმანიიდან შესაფერი კატალოგები და გაიგზავნა პუნსონისტი ამხ. მადერი მოსკოვში და ლენინგრადში იქაური მანქანების გასაცნობად და ამ საქმის შესასწავლად. გამოირკვა, რომ შესაძლებელი იყო ერთი მანქანის შეძენა „გოზნაკი“-დან. კაბინეტმა დაუყონებლივ შეიძინა ეს მანქანა, რომელიც უკვე ჩამოტანილია და დადგმულია ინსტიტუტში და მუშაობს კიდეც, რისთვისაც საჭირო დარჩა ზოგი დამხმარე აუცილებელი მასალის ლენინგრადიდან გამოწერა.

კაბინეტის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი მხატვრები და პოლიგრაფისტები. მათი უშუალო მონაწილეობით გამომუშავებული იქნა დახურული კონკურსის პირობები. ახალი შრიფტის პროექტის დახატვა იკისრეს და კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ: პროფ. **დ. კაკაბაძე, პროფ. ი. შარლემანი,** მხატვრები: **დ. შევარდნაძე, ვ. გრიგოლია, ვ. კეშელავა, ვ. ქუთათელაძე** და არქიტექტორი **მ. ჩხიკვაძე.** პროექტების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის სექტემბრის 30.

კონკურსში მონაწილე მხატვრებთან და პოლიგრაფიის სპეციალისტებთან ერთად კაბინეტში იმართებოდა თათბირები, სადაც დაწვრილებით განხილული იქნა ქართული შრიფტის ყოველი მხარე, მისი ავკარგიანობისა და რაციონალიზაციის თვალსაზრისით.

პარალელურად სწარმოებს დ. შევარდნაძის მიერ წარმოდგენილი სამი ვარიანტის შემოწმება ფსიქოლოგიურ კაბინეტში პროფ. **დ. უზნაძის** ხელმძღვანელობით.

საქ. მწერალთა ყრილობაზე თქმულა და პატივცემული შ. დადიანიც საყვედურით ამბობს: შრიფტის რეფორმა კარგი საქმეა, მაგრამ ეს „კეთდება სადღაც ჩახურულ კაბინეტში, ვიწრო წრეში და მწერლებმა ამისი არაფერი იციან. სპეციალისტებისა და მხატვრების გარდა კარგი იქნებოდა მწერლებიც ყოფილიყვენ მიწვეულნი ამ საქმის გამსჯელად და განმხილველადო“. („სიტყვა და საქმე“ № 4)

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ქართული ბეჭდური შრიფტის რეფორმის შესახებ გასულ წელს, როგორც კი ეს საქმე პ. პ. ინსტიტუტს დაეკისრა, ორჯერ გაიმართა ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც გაზეთის საშუალებით მოწვეული იყო ყველა მსურველი. წარმოდგენილი იყო ამხ. დ. შევარდნაძის პროექტები, ორივეჯერ მანვე გააკეთა მოხსენება (ეს მოხსენება დაიბეჭდა ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ № 10-12, 1933), იყო კამათი შენიშვნები და მითითებანი.

შემდეგ დაიწყო შრიფტის ჰიგიენურ-ტეხნიკური მხარეების შესწავლა-გამოკვლევა. ეს კვლევითი ხასიათის სამუშაოა და **კაბინეტში** კეთდება.

გარდა ამისა, დაიბეჭდა და დარიგდა 200 ცალი მიმართვა (აქედან უმეტესობა დაეგზავნა მწერლებს.), რომ მოეწოდებიათ შრიფტის კაბინეტისათვის თავიანთი აზრი ქართული შრიფტის და მისი გაუმჯობესების შესახებ. პირველი გამოხმაურება ამ წერილობით მიმართვაზე არის ამხ. შ. დადიანის საყვედური. საყვედურსაც ნუ დაგვაკლებთ, თუ კი ეს დავიმსახურეთ, მაგრამ ხუ დავივიწყებთ, რაც მთავარია: თქვენი აზრით ქართული ბეჭდური შრიფტის შესახებ: რა არის იქ კარგი, რა ცუდი, როგორი რეფორმა, გაუმჯობესებაა საჭირო და სხვა.

როგორც ხედავთ, ქართული შრიფტის რეფორმაზე მუშაობა არ მიმდინარეობს მარტო დახურულ კაბინეტში. მაგრამ ჩვენ არც ამით ვაპირებთ დაკმაყოფილებას. შრიფტის კაბინეტს თავის სამუშაო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ მარტის თვეში, შეტანილი აქვს ერთი საჯარო მოხსენება მწერალთა სასახლეში. მაგრამ მწერალთა კავშირს ჯერ შესაფერი დრო ვერ გამოუნახავს. იმედი მაქვს ბევრი აღარ დააყოვნდება.

არც ეს იქნება საკმარისი და ვფიქრობთ ოქტომბრის პირველ რიცხვებში საჯაროდ გამოვფინოთ წარმოდგენილი პროექტები, რომ ფართე საზოგადოება გაეცნოს მათ და თავისი აზრი გვამცნოს.

კაბინეტს უკვე მოუვიდა შეკვეთები „კომუნისტისა“ და „სახელგამისაგან“ სასათაურო შრიფტებზე. ჯერ სამი თვეც არაა, რაც ტფილისში პუნსონების საჭრელი მანქანა დაიდგა და უკვე სამნაირი შრიფტის დამზადებას შევუდექით. ასე ერთ-ორ თვეში ჩვენ სტამბებს მიემატება სამი ახალი სახის შრიფტი. სხვა დროს ამას 30 წელი მაინც მოუნდებოდა.

შრიფტის სექციის გამგე პ. ჭანიშვილი.

მზადება ფირდოუსის იუბილესათვის

უდიდესი სპარსელი მგოსნის—ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლისთავის აღსანიშნავად სპარსეთის დედა ქალაქ თეირანში ეწყობა საერთოშორისო კონგრესი, რომელზედაც მიწვეულია საბჭოთა კავშირის დელეგაცია. საბჭოთა კავშირის დელეგაციაში შევა საქართველოს წარმომადგენელიც, რომელიც კონგრესზე გამოვა შემდეგი მოხსენებით: „ფირდოუსი ქართულ მწერლობაში“.

დიდი სპარსელი მგოსნის 1000 წლის იუბილე ფართოდ ეწყობა საბჭოთა კავშირის მთავარ ქალაქებში—მოსკოვსა, ლენინგრადსა, კიევსა, ტფილისსა, ბაქოსა და ერევანში.

კერძოდ, ტფილისში ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთავი აღინიშნება შემდეგი სახით: მუზეუმში ეწყობა გამოფენა შემდეგ თემაზე: სპარსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა ფირდოუსის იუბელესთან დაკავშირებით.

გამოვა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ძველი ქართული ვერსიების საიუბილეო გამოცემა, ტომი II, დაახლოებით 45 ფორმა, ტექსტი—კომენტარიებით, ლექსიკონით, საძიებელით და სხვა. საიუბილეო გამოცემას რედაქტორობენ: ი. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე და ა. შანიძე.

უნივერსიტეტის გამომცემლობამ უკვე გამოუშვა ალ. ბარამიძის „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“, მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

სექტემბრის შუა რიცხვებში მთავრობის სასახლის სპარსულ დარბაზში შესდგება ფირდოუსის იუბილეისთვის მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოწვეული არიან სპარსეთის საკონსულოს და კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ საზეიმო სხდომაზე წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: 1) **ი. აბულაძე** „ფირდოუსის ცხოვრება და შემოქმედება“; 2) **კ. კეკელიძე** — „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები: 3) ალ. ბარამიძე „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების თარგმნების შესახებ. 4) პ. ინგოროყვა — „სპარსული ნაციონალური ეპოსის კვალი ძველ ქართულ მწერლობაში“ და 5) აკ. შანიძე „შაჰ-ნამე ქართულ ფოლკლორში“.

ფირდოუსის და მისი შემოქმედების შესახებ სპეციალური წერილები დაიბეჭდება სახ. უნივერსიტეტის „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“.

ფირდოუსს მიეძღვნება აგრეთვე ჩვენი გაზეთის ერთერთი უახლოესი ნომერი.

„ლიტერატ. მემკვიდრეობა“

როგორც მკითხველებს მოეხსენება ტფ. უნივერსიტეტის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი (ელხი) მიმდინარე წელს შეუდგა მეტად ძნიშვნელოვან სამეცნიერო მუშაობას, ინსტიტუტს აქვს თავისი ორგანო „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ რომლის მიზანია გამოაქვეყნოს ქართულ კლასიკოსების გამოუქვეყნებელი ნაწერები სათანადო კომენტარიებითა და გამოკვლევებით.

„ლიტერატული მემკვიდრეობა“-ს პირველ და მეორე ნომერს ექნება საერთო ხასიათი. ამ ნომრებში წარმოდგენილი იქნება ყველა ის მასალები, რომლებზედაც იწარმოებს მუშაობა შემდეგში. შემდეგი ნომრები იქნება სპეციალური დანიშნულების. ყოველი ნომერი მიეძღვნება ცალკე მწერალს მაგ. რუსთაველს, ილ. ჭავჭავაძეს, დ. ჭონქაძეს და სხვ.

ჟურნალს ექნება შემდეგი განყოფილებები: ზოგადი ხასიათის განყოფილება, გამოკვლევები სპეციალურ საკითხებზე, ტექსტებისა და დოკუმენტების პუბლიკაცია, ტრიბუნა, ცნობები, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია.

„ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველი ნომრის აწყობა უკვე დაწყებულია და ჟურნალი გამოვა დაახლოებით პირველი ნოემბრისთვის.

„გოეტეს ცხოვრების რომანი“

საქ. სახელგამის შეკვეთით გოეტეს გარდაც. 100 წლის იუბილეუსის გამო კონსტანტინე გამსახურდიამ დასწერა ბიოგრაფიული რომანი „გოეტეს ცხოვრების რომანი“. წიგნი უკვე გამოვიდა. წიგნი შეიცავს 345 გვ. განმარტებანი — 357 გვ. წიგნს დართული აქვს ა. ჭყონიას წინასიტყვა და ავტორის ბოლო სიტყვა. გოეტეს რომანი დაბეჭდილია ეიზენშტეინის ქაღალდზე, მას დართული აქვს გოეტეს, მაშინდელი ლაიპციგის, გოეტეს მეგობრების, მისი მიჯნურების სურათები. წიგნი ღირს 10 მანეთი ყდიანად.

რედაქტორი

მთავლიტ № 7102

სახელგ. პოლ. სკოლა წერეთლის ქ. № 3.

საქართველოს მუზეუმი აცხადებს, რომ ის წელს გამოსცემს:

1. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.ტ. VIII და IX.
2. პროფ. **ივ. ჯავახიშვილი**—ქართლის ცხოვრების ახალი ვარიანტი.
3. აკად. **სმირნოვი**—ახალგორის განძი.
4. პროფ. **გრ. წერეთელი**— ქართული და რუსული კოლექციების პაპირუსები, ტ. V.
5. **პავლე ინგოროყვა**—სვანეთის საისტორიო საბუთები.
6. **ვახტანგ კოტეტიშვილი**—ქართული ზღაპრები, ტ. I.
7. ძველი და ახალი აჭარისტანი.

კონკურსი საუკეთესო კინო-სცენარზე „ვეფხის-ტყაოსანი“-ს დასადგმელად

საქ. კ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების განსახორციელებლად, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის შესრულებასთან დაკავშირებით 1937 წელში, საქ. სახკინმრეწვი იწყებს სამზადისს მისი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“-ს ეკრანზე საჩვენებლად.

ითვალისწინებს რა ქართულ ლიტერატურის უდიდეს ძეგლის ეკრანიზაციის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, საქ. სახ. კინმრეწვი აცხადებს კონკურსს

„ვეფხის-ტყაოსანი“-ს დასადგმელად საუკეთესო ლიტერატურულ კინო-სცენარზე შემდეგი პირობებით:

კინო-სცენარი უნდა წარმოადგენდეს დრამატურგიულად მთლიან და მაღალხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც შენარჩუნებული უნდა იყოს პოემის ყველა საუკეთესო ადგილები და გმირები იმ ანგარიშით, რომ მოცულობა გაანგარიშებული იყოს ერთი სრულმეტროვან ხმოვან სურათზე (7 ნაწ.)

2. კინო-სცენარები განხილული იქნება და ჯილდოს მიუსჯის ჟიური, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია საქ. კ. პ, (ბ) ცეკას ა.-წ. 28 აგვისტოს დადგენილების თანახმად დაარსებულ შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმის მომწყობ მთავრობის კომისიის მიერ (დადგენილება იხ. გაზ. „კომუნისტი“ 26 აგვისტო).

3. საუკეთესო სალიტერატურო სცენარებისათვის დაწესებულია შემდეგი სამი ჯილდო:

1-ლი ჯილდო . . . . . 30.000 მან.
მე-2 „ . . . . . 20.000 მან.
მე-3 „ . . . . . 15.000 მან:

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჟიური განიხილავს აგრეთვე კონკურსში წარმოდგენილ ლიბრეტოებსაც. ლიბრეტოზე მისჯის შემთხვევაში, ჯილდოს რეოდენობა შემცირებული იქნება ნახევრად.

4. კონკურსი დახურულია. ავტორებმა სცენარი უნდა წაროადგინონ დევიზის ქვეშ. ავტორების გვარები წარმოდგენილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტში იმავე დევიზის ქვეშ.

5. საქ. სახკინმრეწვს უფლება ეძლევა ისარგებლოს დასადგმელად ან შემდგომ გადასამუშავებლად კონკურსზე წარმოდგენილ როგორც დაჯილდოებულ, ისე დაუჯილდოებელ სცენარებით და ლიბრეტოებით მხოლოდ დაწესებულ საავტორო ჰონორარის გაცემის შემდეგ.

6. **კონკურსზე სცენარის წარმოდგენის უკანასკნელი ვადად დაწესებულია 1935 წლ.** 30 ი ნისი.

7. სცენარი წარმოდგენილი უნდა იქნეს 2 ცალად მანქანაზე გადაბეჭდილი.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება პრესაში.

კონკურსი'ს შესახებ ყოველგვარი განცხადებების მიღება შეიძლება და ყველა მასალები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

8 ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 164 სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკის სამხატვრო-სასცენარო განყოფილება **კონკურსისათვის**

საქ. სახკინმრეწვი.

ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანო „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ № 1-ში მოთავსებული იქნება შემდეგი მასალები:

I. განყ.

1. რუსთაველი.
2. ფირდოუსი.
3. ეგნატაშვილი — მარქსი და ენგელსი საქართველოზე.
4. ლ. ციხისთავი — მარქსი ქართულ პუბლიცისტიკაში.
5. არ. ჩიქობავა — მარქსი და ენგელსი ენათმეცნიერების წესზე.
6. ვ. ასათიანი — ლენინი და ლიტერატურათმცოდნეობა.

II განყ.

ბამორკვევები

1. პროფ. კ. კეკელიძე — ნ. ირბახი.
2. პროფ. ა. შანიძე — ცნობა ქართული სტამბის შესახებ.
3. ალ. ბარამიძე — შაჰნამეს ახლად აღმოჩენილი ვერსია.
4. გ. ლეონიძე — ვოლტერიანობა საქართველოში.
5. პროფ. ლ. მელიქიშედ-ბეგი — საიათნოვა.

III განყ.

ე. ნინოშვილი

1. ნინოშვილის სურათი განმარტებით (ვუკოლ ბერიძე).
2. სიმონ ჯანაშია — ინგოროყვას გვარის გენეოლოგია.
3. ნინოშვილის დაბადების ამონაწერი (ი.ბალახაშვილი)
4. ოლღა ბეჟანიშვილის მოგონება ნინოშვილზე.
5. ნინოშვილის დაუბეჭდავი წერილები (ვლ. ასათიანის განმარტებით).

IV განყ.

ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

1. ბარათაშვილის ლექსის ახალი ვარიანტი — (გ. ლეონიძე).
2. დავით კლდიაშვილის მოთხრობების ვარიანტები.
3. ლომოურის უცნობი მოთხრობა „ერთობა“ — მიხეილ ზანდუკელი.
4. აკაკი წერეთლის დაუბეჭდავი ლექსები — მამია დუდუჩავა.
5. გრიგოლ ორბელიანის დაუბეჭდავი ლექსები — მიხ. ზანდუკელი.
6. არსენა ჯორჯიაშვილის ლექსი,
7. ქართული პოეტესები — ლევან ასათიანი.
8. ჭოლა ლომთათიძის დღიური.
9. ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსი.

V განყ.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ებ ი

1. ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფია — მ. დუდუჩავა.
2. გიორგი წერეთლის პირადი წერილები — მ. დუდუჩავა.
3. სერგეი მესხის მიმოწერა — ქრ. რაჭველიშვილი.
4. ილია ჭავჭავაძის ახალი ბიოგრაფიული ცნობები— გ. ლეონიძე.
5. ცნობები ბარათაშვილზე — (ი. ბალახაშვილი).
6. ცნობები დავითაშვილზე — ვუკ. ბერიძე.
7. დანიელ ჭონქაძის არქივიდან — ს. კაკაბაძე.
8. ჩერნიშევსკის წერილი ჩიჩუასადმი — გ. აბზიანიძე.
9. ლუიბლანის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი—გ. აბზიანიძე
10. ცნობები გორკიზე (ი. ბალახაშვილი).
11. მოგონება ევდოშვილზე — ბჟბილინასი.
12. ორბელიანი და ჰაჯიმურატი—ა. გაწერელია.
13. ალ. ორბელიანი — 1829 წლის აჯეულობა საქართველოში.
14. დის წერილი დ. ჭონქაძესთან (ი. ბ.)

VI განყ.

ტ რ ი ბ უ ნ ა

1. კ. ჭიჭინაძე — კიდევ რუსთაველისათვის.
2. პროფ. კ. კეკელიძის პასუხი.

VII განყ.

ც ნ ო ბ ე ბ ი

1. ფ. გოგიჩაიშვილი — პეტრე უმიკაშვილი (ბიოგრაფია).
2. გ. ლეონიძე — მამია გურიელი და ბიორნსი.
3. იგივე — ბარათაშვილის შესახებ.
4. ი. გრიშაშვილი — ფერშანგიშვილი და სხვა.
5. ენციკლოპედია — სოლოგუბი.
6. პროფ. ი. აბულაძე — ორი შენიშვნა ვეფხის ტყაოსანზე.
7. ჩეკოლოგი პროფ. სიმ. ხუნდაძეზე.
8. პროფ. ს. ხუნდაძის დაუბეჭდავი ნაწერები.
9. გ. ბაქრაძე — ქართული ფსევდონიმები.

VIII განყ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

1. აკაკი ჭყონია — ემიგრანტული პოეზია.
2. პროფ. ი. მარი — ვეფხის-ტყაოსანი —კ. ჭიჭინაძის რედაქციით.
3. ი. ტატიშვილი — დანტე.
4. ი. ტატიშვილი — ადენის საქართველოს ისტორია.
5. ეგნატაშვილი და გრიშაშვილი — შევჩენკო.
6. ვლ. ასათიანი — მიხეილ ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“, წიგნი II. ა. ბარამიძის ნარკვევი I ტ.
7. ბესიკი.
8. გურამიშვილი.
9. თეიმურაზ პირველი.
10. გეორნტი ქიქოძე — საბას არაკები გერმანულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გამომცემლობა

დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები:

1. **დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი**, ნაწ. II. — მიტინის და რაზუმოვსკის რედაქციით, ფასი 6 მან.
2. **მარქსიზმის ძირითადი საკითხები**—გ. პლეხანოვი, ფასი 2 მან.
3. **პოლიტიკური ეკონომია**, ნაწ. II — ლაპიდუსი და ოსტროვიტიანოვი, ფასი 3 მან.
4. **მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი**—ვ. ლენინი, ფასი 5 მან.
5. **ს. კ. პ. (ბ) ისტორიის ნარკვევებიდან** - პოპოვი, ფასი 3 მან. 75 კ.
6. **საკ. კ. პ. (ბ) ისტორია**, ნაწ. II — იაროსლავსკი, ფასი 4 მან. 25 კ.
7. **პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ** — ი. სტალინი, ფასი 80 კაპ.
8. **რევოლუციონური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები** — ს. მონოსოვი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

1. **საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა.**
2. **კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა და წესდება.**
3. **ვ. ლენინი**, თხ. ტ. XV.
4. **ბოსტრონსკის და მარშინის რედაქციით „ლენინიზმი“ — ქრესტომატია.**

დასახელებულ გამოცემათა შეკვეთა შეიძლება პარტგამომცემლობის ცენტრალურ მაღაზიებში, რუსთაველის გამ. № 31.

პარტგამომცემლობა.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“

დაიბეჭდა და ამ დღეებში წიგნის მაღაზიებს დაურიგდებათ

„ჩელიუსკინის ეპოპეა“

ჩელიუსკინელთა და მათ მშველელ გმირ მფრინავთა დღიურები, ნარკვევები, ნაამბობი ადგილობრივ გადაღებულ ფოტოგრაფიული სურათებით, გვერდი 250. ფასი 5 მანეთი.

იბეჭდება და სექტემბერში გამოვა გასაყიდად

მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი ტექნიკის შესახებ

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ ტექნიკისა და მისი განვითარების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა კრებული ნ. ბუხარინის წინასიტყვაობით და რედაქციით. გვ. 750.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

შტრომბერგი — „სამრეწველო ტრავმატიზმის შესწავ. მეთოდიკა “(რუსულ.).
პრ. ოყროშიძე — „მაღაროს მავნე აირები და მათთან ბრძოლა“.
მიხ. ქუთათელაძე — „ახალი საშენი მასალები“.
კარპოვი და კრუპსკი — „ნაშენთა სტატიკა“.
პრ. გრინევსკი — „ხაზობრივი პერსპექტივის პრაქტ. სახელმძღვანელო“.
ინჟ. დმიტრიევი „ელექტროშედუღება ვოლტას რკალით.
გუდაკოვი — „როგორ უნდა დაიგეგმოს გამომგონებლობა“.